საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 13 მარტი, 1952 წ. № 62 (9222). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისათვის — „პრავდის" 12-III მოწინავე (1-ლი გვერდი).

კანონი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრების დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ (1-ლი გვერდი).

ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება — გავაუმჯობესოთ სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა (მე-2 გვერდი).

ვაჭრობის სამინისტროში მშრომელთა სიგნალებს გულგრილად ეპყრობიან (მე-2 გვერდი).

ბათუმის ფანერის ქარხნის ახალგაზრდობის შესანიშნავი თაოსნობა (მე-3 გვერდი).

გ. ბანძელაძე — მარქსისტული ფილოსოფიის საპროგრამო დოკუმენტი (მე-3 და მე-4 გვერდი).

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი კლემენტ გოტვალდი ბერლინს ჩავიდა (მე-4 გვერდი).

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ (მე-4 გვერდი).

## გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისათვის

გუშინ საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების საბჭოთა პროექტი.

საბჭოთა მთავრობის ამ დოკუმენტებით აღძრულია საკითხი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

თითქმის შვიდმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დამთავრდა გერმანიის წინააღმდეგ ომი, მაგრამ გერმანიას ჯერაც არა აქვს საზავო ხელშეკრულება, გათიშულია, და კვლავ არათანასწორუფლებიან მდგომარეობაშია სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. ასეთი მდგომარეობა ნორმალურად არ შეიძლება ჩაითვალოს. მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ, რომ ბოლო მოეღოს ამ არანორმალურ მდგომარეობას.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხი ევროპაში მშვიდობის სრული აღდგენის საკითხია. გერმანიასთან სამშვიდობო მოწესრიგება შესაძლებელს გახდის საბოლოოდ გადაიჭრას მეორე მსოფლიო ომის შედეგად წამოჭრილი საკითხები. ამ საკითხების გადაწყვეტით სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც ჰიტლერული აგრესიით დაზარალდნენ, განსაკუთრებით გერმანიის მეზობლები. ამით დაინტერესებულია დედამიწის ყველა ხალხი, რადგან გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება ხელს შეუწყობს მთელი საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარებას.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანელი ხალხის ბედისათვის. თუ გერმანიასთან რაც შეიძლება მალე არ დაიდო საზავო ხელშეკრულება, შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი დამოკიდებულება გერმანელი ხალხის კანონიერი ეროვნული ინტერესებისადმი.

თითქმის შვიდი წელია, რაც გერმანია გათიშულია, რაც გერმანელ ხალხს, რომელიც ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს შექმნას ესწრაფვის, დიდ სიძნელეებს უქმნის ძირეულ მისწრაფებათა განხორციელების საქმეში. გერმანიის გათიშვის შენარჩუნება ხელსაყრელია მხოლოდ მშვიდობის მტრებისათვის, ვინაიდან ეს გათიშვა ხელშემწყობ საფუძველს ქმნის გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა და მისი მხრივ რევანშისა და აგრესიის ახალი ცდებისათვის.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ გერმანიის დასავლეთ ზონებში კვლავ წამოყვეს თავი რევანშისტულმა, მილიტარისტულმა ძალებმა. აქ კვლავ მოქმედებენ რურის სამხედრო მაგნატები, გერმანიის აგრესიის ეს მუდმივი შთამაგონებლები და ორგანიზატორები, კვლავ წამოყვეს თავი ყოფილი ჰიტლერული არმიის გენერლებმა, რომლებიც ვარაუდობენ ეგრეთწოდებულ „ევროპის არმიაში" დასავლეთ გერმანიის მონაწილეობის ალმით აღადგინონ გერმანელ ფაშისტთა შეიარაღებული ძალები.

საფრთხე გერმანიის მილიტარიზმის აღდგენისა, რომელმაც ორჯერ გააჩაღა მსოფლიო ომი, აღმოფხვრილი არ არის, რადგან ჯერ კიდევ შეუსრულებელი რჩება პოტსდამის კონფერენციის შესაბამისი დადგენილებანი. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებამ უნდა უზრუნველყოს გერმანიის მილიტარიზმისა და გერმანიის აგრესიის აღორძინების შესაძლებლობის აღკვეთა.

„გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება, — ნათქვამია საზავო ხელშეკრულების საფუძვლების საბჭოთა პროექტში, — გერმანელი ხალხისათვის შექმნის მშვიდობის მტკიცე პირობებს, ხელს შეუწყობს გერმანიის, როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს განვითარებას პოტსდამის დადგენილებათა შესაბამისად და გერმანელი ხალხისათვის უზრუნველყოფს სხვა ხალხებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის შესაძლებლობას".

საბჭოთა მთავრობა, რომელიც ერთგულად იცავს თავის თანმიმდევრულ სამშვიდობო პოლიტიკას, მუდამ მოითხოვდა და მოითხოვს რაც შეიძლება მალე მოხდეს სამშვიდობო მოწესრიგება გერმანიასთან.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ჯერ კიდევ პარიზის, მოსკოვისა და ლონდონის სესიებზე 1946 და 1947 წლებში საბჭოთა კავშირმა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების ამოცანა დასახა როგორც უპირველესი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა. შემდგომ პერიოდშიც საბჭოთა კავშირი მუდამ იდგა ამ პოზიციაზე. ცნობილია, რომ საბჭოთა მთავრობამ მხარი დაუჭირა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1952 წლის 13 თებერვლის მიმართვას სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი, რომელიც შეიცავს თხოვნას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების დაჩქარების შესახებ.

სსრ კავშირის მთავრობის ნოტაში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა, „მხარს უჭერს რა ოთხი სახელმწიფოსადმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვას დაჩქარდეს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება, თავის მხრივ შეერთებული შტატების მთავრობას, აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს მიმართავს წინადადებით დაუყოვნებლივ განხილულ იქნას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხი, რათა უახლოეს დროში მომზადდეს საზავო ხელშეკრულების შეთანხმებული პროექტი და წარედგინოს განსახილველად შესაბამის საერთაშორისო კონფერენციას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა დაინტერესებული სახელმწიფო".

საზავო ხელშეკრულების მომზადების აუცილებელი წინაპირობაა სრულიად გერმანიის მთავრობის რაც შეიძლება მალე შექმნა. საბჭოთა მთავრობის ნოტაში აღნიშნულია, რომ ასეთი საზავო ხელშეკრულების შემუშავებაში უნდა მონაწილეობდეს უშუალოდ გერმანია სრულიად გერმანიის მთავრობის სახით. აქედან გამომდინარეობს ის, რომ სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა, რომლებიც კონტროლის ფუნქციებს ასრულებენ გერმანიაში, უნდა განიხილონ აგრეთვე იმ პირობების საკითხი, რომლებიც ხელს შეუწყობენ გერმანელი ხალხის ნების გამომხატველი სრულიად გერმანიის მთავრობის რაც შეიძლება მალე შექმნას.

საზავო ხელშეკრულების პროექტის მომზადების დაჩქარების მიზნით საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების განსახილველად წარადგინა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების პროექტი, ამასთანავე მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების პოლიტიკისადმი ერთგულმა სსრ კავშირის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს სხვა შესაძლო წინადადებებიც ამ საკითხზე.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების საბჭოთა პროექტი გამსჭვალულია მისწრაფებით — უზრუნველყოფილ იქნას გერმანიის საკითხის გადაწყვეტა მშვიდობიან დემოკრატიულ საწყისებზე საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისა და გერმანელი ხალხის კანონიერი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის შესაბამისად.

საბჭოთა პროექტში აღნიშნულია, რომ გერმანია აღდგენილ უნდა იქნას როგორც ერთიანი სახელმწიფო. ამით ბოლო ეღება გერმანიის გათიშვას და საშუალება ეძლევა ერთიან გერმანიას განვითარდეს, როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო. გათვალისწინებულია, რომ მაოკუპირებელი სახელმწიფოების მთელი შეიარაღებული ძალები გაყვანილ იქნან გერმანიიდან არაუგვიანეს ერთი წლისა საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან. ამავე დროს ლიკვიდირებულ უნდა იქნას უცხოეთის ყველა სამხედრო ბაზა გერმანიის ტერიტორიაზე.

უზრუნველყოფილ უნდა იქნას გერმანელი ხალხის დემოკრატიული უფლებები. ამავე დროს გერმანიის ტერიტორიაზე დაშვებულ არ უნდა იქნას დემოკრატიისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმისადმი მტრული ორგანიზაციების არსებობა. გათვალისწინებულია, რომ გერმანიამ იკისროს ვალდებულება არ შევიდეს რომელიმე იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ რაიმე კოალიციაში ან სამხედრო კავშირში, რომელიც თავისი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობას იღებდა გერმანიის წინააღმდეგ ომში. გერმანიის ტერიტორია იფარგლება საზღვრებით, რომლებიც დაწესებულია დიდი სახელმწიფოების პოტსდამის კონფერენციის დადგენილებებით.

გერმანიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა პროექტის წინადადებას — გერმანია სრულიად არ იქნეს შეზღუდული იმ მხრივ, რომ განავითაროს თავისი სამშვიდობო ეკონომიკა, რომელიც გერმანელი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას უნდა ემსახურებოდეს. გერმანია სრულიად არ იქნება შეზღუდული აგრეთვე სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის, ზღვაოსნობის, მსოფლიო ბაზრებით სარგებლობის მხრივ.

საბჭოთა მთავრობის ნოტას და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების პროექტს დიდი კმაყოფილებით შეხვდა მშვიდობის საქმის ყველა ნამდვილი მეგობარი. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს ყველა ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრიობის გამოხმაურება.

მშვიდობისმოყვარე ხალხებს საბჭოთა კავშირის მთავრობის ეს ნაბიჯი საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნული პოლიტიკის — მშვიდობისა და უშიშროების, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკის ახალ მკაფიო გამოხატულებად მიაჩნიათ.

„პრავდის" 12-III მოწინავე

## ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა გამოცემა კომურ ენაზე

**სიქტივკარი,** 10 მარტი. (საკდესი). კომის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე გამოცემებად კომურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის ნაშრომები „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი", „ველიკორუსთა ეროვნული სიამაყის შესახებ", ი. ბ. სტალინის ნაწარმოები „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი".

## საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის ანსამბლის გასტროლები კიევში

**კიევი,** 11 მარტი. (საკდესი). გუშინ ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართული კონცერტით დაამთავრა კიევში გასტროლები საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა. სულ მან გამართა ექვსი კონცერტი.

ანსამბლი ასრულებდა ქართველი ხალხის ძველ და თანამედროვე ცეკვებს. მის გამოსვლებს დიდი წარმატება ჰქონდა კიეველებში.

## კანონი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 10 აპრილის ბრძანებულება „ტაჯიკეთის სსრ სტალინაბადის ოლქის ლიკვიდაციის შესახებ" და 1951 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ რესპუბლიკის შემადგენლობაში თბილისისა და ქუთაისის ოლქების შექმნის შესახებ".

ამის შესაბამისად შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებანი და დამატებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 25 და 27 მუხლებში, რომლებიც ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 25. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შედიან ქუთაისისა და თბილისის ოლქები; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი".

„მუხლი 27. ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შედიან გარმის, კულიაბის, ლენინაბადის ოლქები და მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქი".

2. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1951 წლის 14 მარტისა—„სსრ კავშირის საქალაქო მშენებლობის სამინისტროს გაუქმების შესახებ", 1951 წლის 26 აპრილისა — „სახელმწიფო სასურსათო და მატერიალური რეზერვების სამინისტროს გაუქმების შესახებ" და 1951 წლის 26 აპრილისა—„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სასურსათო და სამრეწველო საქონლის მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ".

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 70 და 77 მუხლებში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

70 მუხლს სიტყვების „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე" შემდეგ დაემატოს სიტყვები „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სასურსათო და სამრეწველო საქონლის მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;"

77 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „საქალაქო მშენებლობისა;" და „სახელმწიფო სასურსათო და მატერიალური რეზერვებისა;"

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი 1952 წ. 8 მარტი

## სსრ კავშირის მინისტრების დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს — დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც დანიშნული არიან:

დიმიტრი ვასილის-ძე ეფრემოვი — სსრ კავშირის ელექტრომრეწველობის მინისტრად;

ივანე კუზმას-ძე სივოლაპი — სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრად;

ნიკოლოზ გერასიმეს-ძე კუზნეცოვი — სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრად;

პავლე ნიკოლოზის-ძე კუმიკინი — სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრად;

სერგი ალექსანდრეს-ძე სტეპანოვი — სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი 1952 წ. 8 მარტი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ნ. ნ. ბესპალოვის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ბესპალოვის დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი 1952 წ. 8 მარტი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სასურსათო და სამრეწველო საქონლის მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. დ. ვ. პავლოვის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სასურსათო და სამრეწველო საქონლის მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცდეს ამხ. დიმიტრი ვასილის-ძე პავლოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი 1952 წ. 8 მარტი

## „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ნაწილობრივ ცვლილებათა" თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 1 აგვისტოს ბრძანებულება „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ნაწილობრივ ცვლილებათა შესახებ".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი 1952 წ. 8 მარტი

## კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებში

ამ დღეებში გაიმართა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების გაერთიანებული პლენარული სხდომა.

კომისიებმა მოისმინეს და განიხილეს სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის ამხ. კ. პ. გორშენინის ცნობა სსრ კავშირის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის მომზადების მიმდინარეობის შესახებ.

გაიმართა აგრეთვე ცალცალკე სხდომები კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიისა ამხ. ა. ნ. პოსკრებიშევის თავმჯდომარეობით და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიისა ამხ. ი. ა. კაიროვის თავმჯდომარეობით. ამ სხდომებზე განხილულ იქნა კომისიების მიმდინარე მუშაობის საკითხები და მიღებულ იქნა სათანადო გადაწყვეტილებანი.

# ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★

## თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში

სურათზე: ორთაჭალჰესის მშენებლობის მოწინავე სტახანოველი, მებეტონეთა ბრიგადის ხელმძღვანელი ვასილ შიუკაშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 200 პროცენტით ასრულებს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

**კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის** კოლექტივმა ვადამდე შეასრულა კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთები. ამ დღეებში „კუიბიშევჰიდრომშენს" და „ვოლგადონჰიდროენერგომშენს" გაეგზავნა სამი უკანასკნელი დაზგა იმ 17 დაზგიდან, რომლებიც ქარხანას პირველი კვარტალის ბოლომდე უნდა გამოეშვა.

**საორთქლმავლო დეპოს** კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავ ვახტზე დგომის პერიოდში ჩქაროსნული წესით განახორციელა № 51-04 ლოკომოტივის შეკეთება. ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 96 საათისა, მეორთქლმავლეებმა აღნიშნული ლოკომოტივი 26 საათში შეაკეთეს.

**სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის** გ. იაკოვლევას მექოტნეთა ბრიგადამ თებერვალში 22,2 პროცენტით მეტი პირველხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე ნორმით იყო გათვალისწინებული. პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებაში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე ე. მონასელიძის, ა. ლიახოვას და გ. ძეკურაშვილის მექოტნეთა ბრიგადებმა.

**აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის** სტახანოველმა ფეიქრებმა ე. მეხრაძემ, ე. ურთაშვილმა, ე. ნიკულინამ და ლ. მეშჩერიაკოვამ თავიანთი მუშაობის ნოვატორული მეთოდები შეასწავლეს 150 მქსოველს. თავიანთ პროფესიას საფუძვლიანად დაუფლებული მქსოველები ახლა ძაფის წყვეტის ლიკვიდაციას ნაცვლად 66 წამისა, რაც ნორმით არის გათვალისწინებული, 41 წამში აღწევენ.



თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა. სურათზე: მ. ქელიძე ფეხსაცმლის პირის გადამჭიმავ მანქანასთან, რომელმაც თებერვლის გეგმა 274 პროცენტით შეასრულა და მინიმუმამდე შეამცირა უხარისხო პროდუქციის გამოშვება.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## შეჯიბრებაში გამარჯვებული

**ხაშური.** (საკ. კორ.). კავშირგზამულობის ხაშურის მეორე სახაზო კვანძის კოლექტივმა (უფროსი ა. კალანდარიშვილი) გასული წლის მეოთხე კვარტალში საუკეთესო წარმატებები მოიპოვა და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა.

ამ დღეებში კვანძის მუშაკებმა მოსკოვიდან მიიღეს დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ გასული წლის მეოთხე კვარტალში მოპოვებული საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით ხაშურის მეორე სახაზო ტექნიკური კვანძის კოლექტივს კვლავ დაეტოვა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის კავშირგზამულობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და მიეკუთვნა პირველი ფულადი პრემია.

## დოლი მასობრივად გაჩაღდა

**დუშეთი.** (საკ. კორ.). ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე, სადაც რაიონის მრავალათასიანი ფარები იმყოფება, მასობრივად გაჩაღდა დოლი. საკოლმეურნეო ფერმებში უკვე მიღებულია 21 ათასზე მეტი ბატკანი. დოლის საუკეთესოდ მოწყობის შედეგად მინიმუმამდე დაყვანილია სიკვდილიანობა.

შარშან რაიონში დიდი მუშაობა გასწიეს ცხვრის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის. 10 ათასზე მეტი ცხვარი ხელოვნურად განაყოფიერებულ იქნა ნაზმატყლიანი მწარმოებლებით. უკვე მიღებულია მათი შთამომავლობა — 5 ათასი ნახევრადნაზმატყლიანი ბატკანი.

დოლი საუკეთესოდ მიმდინარეობს გუდამაყრის, მაქართის, მთიულეთის, ხანდოს და სხვა კოლმეურნეობათა ფერმებში. სტახანოველი მწყემსები ზ. აფციაური, თ. ჩოხელი, თ. ბუჩუკური და სხვები ნამატის მიღებისა და შენარჩუნების მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ.

**ახმეტა.** („კომ." კორ.). რაიონის კოლმეურნეობათა ცხვარში, რომელიც სტავროპოლის მხარის ასტრახანის ოლქის საზამთრო საძოვრებზეა, წარმატებით დაიწყო დოლი. უკვე მიღებულია 10.000-ზე მეტი სული ბატკანი. ზოგ დედაცხვარზე ორი-სამი ბატკანია მიღებული.

ნამატის მთლიანად შენარჩუნებისა და გამოზრდისათვის ფართოდ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს აღწევენ ზემო ალვანის ბერიას, ახმეტის პირველი მაისის სახელობის და სხვა კოლმეურნეობათა ფერმები.

## ტუნგოს ნაყოფი გეგმის გადამეტებით

**ქობულეთი.** („კომუნისტის" კორ.). ნაკოხის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობაში უხვი მოსავალი მიიღეს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 180 ტონისა მეურნეობის კოლექტივმა სახელმწიფოს ჩააბარა 208 ტონა ტუნგოს ნაყოფი. მეურნეობამ გასულ წელს სახელმწიფოს მისცა 103 ათასი მანეთი მოგება.

## პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე შესრულდა

**ქარელი.** (საკ. კორ.). სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე ნაყოფიერად მუშაობენ ქარელის რაიონის სამრეწველო კომბინატის საწარმოები. კომბინატმა განვლილ ორ თვეში 137,5 პროცენტით შეასრულა პირველი კვარტალის გეგმა. ამავე რიცხვისათვის ხის სხვადასხვა ავეჯის დამზადების დავალება შესრულებულია 425 პროცენტით, ნალ-ლურსმნისა — 396, თუნუქის ჭურჭლისა — 272, შეშის დამზადებისა და გამოზიდვისა — 100 პროცენტით.

კომბინატი ამ დღეებში შეუდგება წითელი აგურის გამოშვებას და რაიონის მშენებლობებს უზრუნველყოფს აგურით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პარტიული ცხოვრება

# გავაუმჯობესოთ სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა

პარტიული ორგანიზაციების შეუნელებელი მზრუნველობის შედეგად თბილისის ლენინის რაიონის მშრომელები წარმატებით ასრულებენ მათ წინაშე მდგომ სამეურნეო და პოლიტიკურ ამოცანებს. რაიონის საწარმოებმა გასულ წელს პროდუქციის გამოშვების გეგმა წარმატებით შეასრულეს. ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე საწარმოთა კოლექტივები ნაყოფიერად შრომობენ სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

სამეურნეო წარმატებათა მაღალი დონე პირველ რიგში იმით იქნა მიღწეული, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად აამაღლეს თავიანთი ორგანიზატორული როლი, სწორად შეახამეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო საქმიანობასთან. პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები მეთაურობენ ბრძოლას წარმოების კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის, მუშაობაში ნოვატორული მეთოდების დანერგვისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

რაიონის XXVII პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში შედგა, რაიკომის მდივანმა ამხ. პ. გილაშვილმა ვრცლად გააშუქა საანგარიშო პერიოდში რაიონის პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა.

— ჩვენი რაიონის პარტიული ორგანიზაციები, — განაცხადა მან, — მტკიცედ ხელმძღვანელობენ პარტიის იმ მითითებით, რომ სამეურნეო წარმატებათა სიმტკიცე და ხანგრძლივობა დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე.

შემთხვევითი როდია, რომ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, საორთქლმავლო და საელმავლო დეპოები, ქარხანა „პლასტმასა", ზუსტი ხელსაწყოების ქარხანა და რაიონის მთელი რიგი სხვა საწარმოები წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო დავალებას და დამსახურებულად დგანან რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებში. ამ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები სათავეში უდგანან მშრომელთა სამეურნეო და პოლიტიკურ აქტივობას, გულმოდგინედ მუშაობენ ადამიანებთან, ასწავლიან მათ პარტიისა და მთავრობის მითითებათა განხორციელებისათვის ბოლშევიკურ ბრძოლას, სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის კარგად მოწყობით მაღლა სწევენ მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივას. მაგრამ უმართებულო იქნება თუ ვიტყვით, რომ რაიონის ყველა საწარმოში ყველაფერი რიგზეა. ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის, ტრესტ „საქმშენის" კომბინატის, „საქკვებმშენის" ტრესტის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს და ზოგიერთ სხვა საწარმოთა კოლექტივები სისტემატურად ვერ ასრულებენ საწარმოო დავალებას. ავტოსარემონტო, ავეჭლის შუშის და რკინიგზის ელექტროტექნიკურ ქარხნებში, № 7 სამკერვალო ფაბრიკაში ხშირად ირღვევა მუშაობის გრაფიკი. ამ საწარმოთა ხელმძღვანელები ურიგდებიან დაზგა-დანადგარების მოცდენას, რაც მუშახელის მოცდენას, ხელფასის ფონდის გადახარჯვასა და თვითღირებულების გადიდებას იწვევს. დასახელებულ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები სათანადოდ ვერ იყენებენ პარტიული კონტროლის უფლებას, კომუნისტების მსჯელობის საგნად არ ხდიან სახელმწიფო დავალებათა შეუსრულებლობისა და საწარმოო პროცესების დარღვევის ფაქტებს, არადამაკმაყოფილებლად ებრძვიან ადმინისტრაციას ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

შემდეგ მომხსენებელმა კონფერენციის მონაწილეებს გააცნო რაიონის ცალკეულ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწავლების, პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების, პარტიული კონტროლის უფლების გამოყენების, პარტიაში მიღების, კომკავშირისადმი, საagitაციო მუშაობისა და სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში, ილაპარაკა საწარმოთა და მათი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვან მხარეებზე.

ამხ. გილაშვილმა გააკრიტიკა პარტიის რაიკომის ცალკეულ განყოფილებათა მუშაობა, რომლებიც ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. დასასრულ მან კონფერენციის ყურადღება გაამახვილა სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხებზე.

მოხსენების გამო აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა გაიმართა. პირველი გამოვიდა რკინიგზის თბილისის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. ჭკუასელი. მან თავისი გამოსვლა ძირითადად მიუძღვნა კვანძის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა მხილებას.

— თბილისის სატვირთო და სამგზავრო სადგურის, გზის მე-10 დისტანციისა და დატვირთვა-გადატვირთვის სადგურის პარტიული ორგანიზაციები,—განაცხადა მან, — ვერ იყენებენ პარტიული კონტროლის უფლებას, სათანადოდ არ აფასებენ ბოლშევიკური აგიტაციის ძალას, სათავეში არ უდგანან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლას. ამით უნდა აიხსნას, რომ დასახელებული საწარმოები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან დავალებათა შესრულებაში, ვერ ასრულებენ გეგმას ყველა მაჩვენებლის მიხედვით. კვანძის პარტიული კომიტეტი და პარტიის რაიკომი სათანადო დახმარებას არ უწევენ ამ პარტიულ ორგანიზაციებს. რაიკომის ბიუროს ერთხელაც არ განუხილავს ამ ორგანიზაციების მუშაობის საკითხი.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სატვირთო-სავაგონო საამქროს სტახანოველმა ზეინკალმა გ. დათუაშვილმა განაცხადა: ჩვენი საამქროს ბევრი სტახანოველი ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. მათ ბევრი სიახლე შეიტანეს წარმოების პროცესების გაუმჯობესებაში. სასარგებლო იქნებოდა, რომ თავიანთი მუშაობის გამოცდილება რაიონის სხვა საწარმოთა მუშებისთვისაც გაეზიარებინათ. მაგრამ ამ საკითხზე არავინ ზრუნავს. არ ეწყობა წარმოების მოწინავეთა რაიონული შეკრებები გამოცდილების გაზიარების მიზნით.

— ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია,—თქვა სამმართველოს პარტბიუროს მდივანმა ამხ. ვ. გაბრიჩიძემ,—სერიოზულ მუშაობას ეწევა იმისათვის, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეაიარაღოს კომუნისტები. წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წრეების, პოლიტსკოლებისა და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი დახმარება.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მთავარი ნაკლი,—თქვა შემდეგ მან, — ის არის, რომ სათანადოდ ვერ ვიბრძვით საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულების, ბიუროკრატიზმის გამოვლინების წინააღმდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მშრომელთა საჩივრებისა და სიგნალებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. მაგალითად, ხაშურის საელმავლო დეპოს მემანქანემ ამხ. კიკნაძემ რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელობას წერილობითი განცხადებით მიმართა. განცხადებაში მხილებული იყო ხაშურის საელმავლო დეპოს ზოგიერთი მუშაკის უმსგავსო მოქმედება. წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად ხაშურის საელმავლო დეპოს უფროსს ეხებოდა. რკინიგზის სამმართველოს ელექტროფიკაციის სამსახურის უფროსმა ამხ. ხევსურიანმა აღნიშნული წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად დეპოს უფროსსავე გაუგზავნა. მან „შეისწავლა" მდგომარეობა და სამმართველოს აცნობა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები არ დადასტურდა. ასეთი შემთხვევები იშვიათი როდია.

რაიონის პროკურორი ა. ჩიქვანაია ზოგადად შეეხო სახელმწიფო ქონების გამნიავებელთა და წამგლეჯობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, არც ერთი კონკრეტული ფაქტი არ დაუსახელებია, თუ როგორ იბრძვის რაიონის პროკურატურა ბოროტმოქმედებათა აღმოსაფხვრელად. არათვითკრიტიკული და ზერელე იყო სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარის ე. ბედოშვილისა და 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივნის ო. ვადაჭკორიას გამოსვლა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე დ. მამაცაშვილმა, დ. კვარაცხელიამ, ი. დავითაშვილმა, ი. შევარდნაძემ, ვ. ტყეშელაშვილმა და სხვ. სულ 21 კაცმა.

კონფერენციამ აირჩია რაიკომისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და მიიღო რეზოლუცია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს გ. ქორქიაშვილმა, გ. ზედგინიძემ, თ. ქელიძემ, მ. მაღრაძემ.

* * *

შედგა რაიკომის პლენუმი, რომელმაც პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. პ. გილაშვილი, მეორე მდივნად—ამხ. დ. ჭახრაკია, მდივნად—ამხ. კ. გოგლიძე.

## მიღწეულით არ დავკმაყოფილდებით

მკერავთა ბრიგადა, რომელსაც თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკაში მე ვხელმძღვანელობ, გეგმას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს და საუკეთესო ხარისხის მზა ტანსაცმელს უშვებს.

ჩვენი ბრიგადა ქალის კაბებს კერავს ისეთი ძვირფასი ქსოვილებისაგან, როგორიც არის კრეპსატინი, კრეპჟორჟეტი და სხვა, რაც მეტად ზუსტ და დაკვირვებულ მუშაობას მოითხოვს. წინასწარ ვამზადებთ სამუშაო ადგილს, გულდასმით ვათვალიერებთ საკერავ მანქანებს როგორც სისუფთავის, ისე მათი გამართულობის მხრივ. კაბის დაჭრილ ნაწილებს ოპერაციების მიხედვით ვაწყობთ მოხერხებულ ადგილას, რომ თვითეული ოპერაციის შესრულებისათვის მკერავმა ნაკლები დრო დახარჯოს. ბრიგადაში 17 მუშის სამუშაოს 13 ასრულებს და სამუშაო ისე გვაქვს განაწილებული, რომ ერთ და იმავე დროს ორი სხვადასხვა ფასონის კაბას ვკერავთ.

ინჟინერ თ. კოვალიოვის მეთოდის მიხედვით მოვახდინეთ ქრონომეტრაჟული დაკვირვებანი და გამოირკვა, რომ მკერავი ა. კობახიძე ქალის ტანსაცმლის ზედა გვირისტს ყველაზე სწრაფად და უკეთესად ასრულებდა, ო. გრიგორიანი კი კაბის ზედატანის ნაწილებს ჩინებულად კრებდა და ა. შ. ამ მოწინავეთა მუშაობის მეთოდები შეისწავლა ბრიგადის თვითეულმა წევრმა. ამჟამად ბრიგადაში მკერავი იმ ოპერაციას ასრულებს, რომელსაც იგი საუკეთესოდ არის დაუფლებული. მაგალითად, გ. გოგოლაძე კაბის ქვედა ნაწილის ამოხვევას აწარმოებს, რამდენიმე ოპერაციას საუკეთესოდ ასრულებენ პ. ცხონდია, თ. ოქრუაშვილი, და სხვა მკერავები. საათში ორჯერ ვამოწმებ მკერავების მიერ ცალკეული ოპერაციების შესრულების სიზუსტეს. თვითეული მკერავი წინა ოპერაციის შემსრულებლის მკაცრი კონტროლიორია.

შარშან მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ პირველი, მეორე და მესამე კვარტალის მაჩვენებლებით სამჯერ მოგვეკუთვნა „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის" საპატიო წოდება.

ახალი სამეურნეო წელი გაზრდილ ამოცანებს გვისახავს. ბრიგადის წევრებმა გადავწყვიტეთ ენერგიული შრომით ახალი წარმატებები მოვიპოვოთ. ამ საქმეში უფრო მეტად უნდა დაგვეხმაროს ფაბრიკის დირექცია, უკეთ მოგვამარაგოს ქსოვილის ფერთან შეხამებული ფერის ძაფითა და ღილებით, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ჩვენს მიერ გამოშვებულ პროდუქციას.

**მარო დარჯანია**
საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის ბრიგადირი

## ვიბრძოლებთ მეტი ნარჩენების მოპოვებისათვის

სახელმწიფო საგეგმო დავალების დიდი გადაჭარბებით შესრულებისა და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების კვების მრეწველობის კომბინატის კოლექტივს შარშან ორჯერ მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

გასული წლის გეგმა კვებმრეწვკომბინატის კოლექტივმა 113,5 პროცენტით შეასრულა, თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება საშუალოდ 18,4 პროცენტით გაიზარდა, გეგმასთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, ზეგეგმითმა დაგროვებამ 2.163 ათას მანეთს გადააჭარბა, ხოლო საერთო მოგებამ ნაცვლად გათვალისწინებული 2.552.900 მანეთისა 4.716,2 ათასი მანეთი შეადგინა. ამ წარმატებებს კომბინატის კოლექტივმა ძირითადად გეგმების გადაჭარბებით შესრულებით, ნედლეულის, საწვავისა და ელექტროენერგიის ეკონომიით, საერთო საქარხნო ხარჯების მაქსიმალური შემცირებითა და საწარმოო ნარჩენების რაციონალურად გამოყენებით მიაღწია.

ამ მხრივ აღსანიშნავია ციტრუსების ნაყენების წარმოების ნარჩენებისაგან (გადამუშავებული ციტრუსები, კანი, ცედრა) ახლად დამუშავებული ტექნოლოგიით მიღებული ახალი სახის პროდუქტი „ციტრუსის ფაფა", რომელიც საკონდიტრო მრეწველობას ეგზავნება სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, აგრეთვე ფართო მოხმარების „არომატული ძმარი". მარტო ამ ნარჩენების გამოყენებით შარშან მიღებულია 490.700 მანეთი ეკონომია.

გარდა ამისა ციტრუსების ნაყენების წარმოების ნარჩენებისაგან დამუშავებულია ახალი სახის პროდუქციის — ხილეულის ღვინის გამოშვების ტექნოლოგია. ხილეულის ღვინის მასობრივი გამოშვების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველწლიურად მარტო ბრუნვის გადასახადის სახით მიიღებს 5-6 მილიონამდე მანეთს, ხოლო თვით კომბინატი — 1 მილიონ მანეთამდე დაგროვებას.

კომბინატის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმა 9 თვეში შეასრულოს და წლის ბოლომდე 3 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვას.

**კ. სულაბერიძე**
კვებმრეწვკომბინატის ადგილკომის თავმჯდომარე

# ვაჭრობის სამინისტროში მშრომელთა სიგნალებს გულგრილად ეპყრობიან

თითქმის ყოველდღე მრავალი განცხადება და საჩივარი იყრის თავს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში. ისინი იმავე დღეს მინისტრის ან მოადგილის რეზოლუციით ნაწილდება სათანადო განყოფილებათა მიხედვით, წესდება შესრულების კონკრეტული ვადები. სამინისტროს ჰყავს მოწინავე მუშაკები, რომლებიც კარგად ასრულებენ მათთვის დაკისრებულ ამოცანებს, სისტემატურად ზრუნავენ მშრომელთა სიგნალების შედეგიანობაზე.

მიუხედავად ამისა, ვაჭრობის სამინისტროში ჯერ კიდევ არის ბიუროკრატიზმის, ცალკეული პასუხისმგებელი მუშაკების მიერ თავისი მოვალეობის დავიწყების ფაქტები. ამის გამო ჭიანურდება მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა, არის ნაკლოვანებათა მიჩქმალვის, წაყრუების აღმაშფოთებელი ფაქტები.

სამინისტროს ხელმძღვანელთა დაუდევრობით ზოგჯერ წერილები და საჩივრები ხელში უვარდებათ იმ პირებს, ვისაც უჩივიან. 1951 წლის 26 ოქტომბერს გაზეთ „კომუნისტის" რედაქციიდან საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ მიიღო მამხილებელი წერილი, რომელშიც ავტორი აღნიშნავდა, რომ საქვაჭრობის სამტრედიის განყოფილების ქსელში ბევრი უმსგავსოებაა, მოუგვარებელია დატარებითი ვაჭრობა, ამახინჯებენ საბჭოთა ვაჭრობის წესებს და სხვ..

წერილის ავტორი წერდა, რომ ამ უმსგავსოებათა შესახებ საჩივრებსა და სიგნალებს ყურადღებას არ აქცევენ ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რაისაბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების მუშაკები.

ვაჭრობის მინისტრმა ამხ. მ. ნარსიამ მამხილებელ წერილს სწრაფად მისცა „მიმართულება". იგი გადაეგზავნა საქვაჭრობის დირექტორს ამხ. ს. ბეგაშვილს. წერილი ადგილზე შეამოწმეს მათ, ვისაც აკრიტიკებდნენ: სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგემ ფრანგიშვილმა, საქვაჭრობის სამტრედიის განყოფილების გამგემ ქვანიამ და საქვაჭრობის წარმომადგენელმა ჩიქოვანმა. მათ დაწერეს ვრცელი დასკვნა, რომელიც მთავრდებოდა სიტყვებით: „წერილში დასახელებული ფაქტები არცერთი (!) არ დადასტურდა".

ეს მაშინ, როცა საქვაჭრობის სამტრედიის სავაჭრო ქსელში ყველაფერი რიგზე არ არის. სამწუხაროდ, იქ არც სხვა სიგნალებს მიაქციეს ყურადღება. ამის შესახებ გარკვევით ითქვა სამტრედიის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესიაზე. კერძოდ აღინიშნა, რომ საქვაჭრობის რესტორანში 10 საჩივრიდან მხოლოდ 2-ზე გასცეს პასუხი, ისიც ზერელედ.

ვაჭრობის სამინისტრომ დიდი დაგვიანების შემდეგ „კომუნისტის" რედაქციას აცნობა, რომ ზემოთ დასახელებული მამხილებელ წერილში აღნიშნული „ფაქტები არ დადასტურდა".

შესული სიგნალების საფუძველზე ვაჭრობის სამინისტროს სპეციალურმა ბრიგადამ ორჯერ შეამოწმა თბილისის მარცხენა სანაპიროს სასადილოების ტრესტის № 18 სასადილო (დირექტორი აბესაძე). მამხილებელი წერილი იუწყებოდა, რომ მებუფეტე ი. ადამაშვილი სისტემატურად ჰყიდის უფაქტურო საქონელს, სასადილოში უსუფთაობაა, არღვევენ ვაჭრობის წესებს და სხვ. ვაჭრობის სამინისტრომ საზოგადოებრივი კვების განყოფილების უფროსის ი. წინამძღვრიშვილის მოხსენებითი ბარათის მიხედვით „კომუნისტის" რედაქციას აცნობა, რომ „ფაქტები არ დადასტურდა".

ნამდვილად კი გამომკვლევი კომისიის მოხსენებით ბარათში წერია: სასადილოში არ არის დაცული ასორტიმენტი, ბუფეტში იყო ყველი, რაც მენიუში არ იყო აღნიშნული, ხოლო მენიუში აღნიშნული პროდუქტები ფაქტიურად სასადილოში არ ჰქონდათ, სანიტარული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სხვა.

სწორედ ამაზე იტყვიან: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

უსულგულოდ, ზერელედ მოექცნენ იმ წერილებს, რომლებიც ამხილებდნენ მარცხენა და მარჯვენა სანაპიროს სასადილოების ტრესტების, საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს სისტემაში მოკალათებულ მექრთამეებს, გადაგვარებულ პირებს.

მშრომელთა სიგნალების შეუფასებლობამ, საჩივრებისადმი ფორმალურ, ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას დიდი დანაშაულობანი მოსდევს. ვაჭრობის სამინისტროს მრავალრიცხოვან საქმეებში არა ერთი და ორი საჩივარი და სიგნალია ჩაკერებული თბილისის მარჯვენა სანაპიროს კვებვაჭრობის დირექტორის დ. ჭიჭინაძის მექრთამეობის, ხულიგნური საქციელისა და გადაგვარების შესახებ.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ დ. ჭიჭინაძე, რომელიც წინათ სპეკულაციისთვის ხუთი წლით პატიმრობაში იმყოფებოდა, ძმა-ბიჭების დახმარებით თბილისის კვებვაჭრობის დირექტორად მოეწყო! მან თავის გარშემო შემოიკრიბა გამფლანგველები, დამნაშავე პირები. № 70 მაღაზიაში მოაწყო ნასამართლევი ი. დონდუაშვილი, რომლის შვილი ამავე მაღაზიის გამგედ დანიშნა. ერთ დღეს დონდუაშვილს რევიზორმა 3.487 მანეთის გაფლანგვა აღმოუჩინა. რევიზორი სათანადო აქტით დირექტორ დ. ჭიჭინაძის წინაშე წარსდგა. დირექტორმა აქტი ნაკუწნაკუწად აქცია, ხოლო მაღაზიას ლუქი ახსნეს. „დონდუაშვილის მაღაზია" კვებვაჭრობის ბუღალტერიაში ყოველთვიურად საქონელბრუნვას ხან 20, ხან 33 ათასი მანეთით ნაკლებს უჩვენებდა. მაგრამ ამ უმსგავსობის გამო ყველანი სდუმდნენ. ამ წაყრუების შედეგად ბოროტმოქმედმა ი. დონდუაშვილმა 61 ათასი მანეთი გაფლანგა.

№ 49 მაღაზიის გამგის თანამდებობაზე დირექტორმა დ. ჭიჭინაძემ თავისი ძმა-კაცი, პატიმრობაში ნამყოფი ვინმე თ. ფარღალავა მოაწყო, რომელმაც მოკლე დროში 22.242 მანეთი გაფლანგა. ასეთი ფაქტების დასახელება კიდევ შეიძლება. ყველაფერი ეს კარგად იცოდნენ ვაჭრობის სამინისტროში, მაგრამ ნასამართლევი კადრებისაგან სავაჭრო ქსელის გასაწმენდად გადამჭრელ ზომებს არ იღებდნენ... ბოლოს თვით მთავარი ბოროტმოქმედი დ. ჭიჭინაძეც მიიმალა...

როცა ასეთი ფაქტების წინაშე თვალის დახუჭვა შეუძლებელი გახდა, სხვა მრავალი ახალი სიგნალის გამო ვაჭრობის სამინისტრომ სასწრაფოდ შეამოწმა კადრების მდგომარეობის საქმე მარჯვენა სანაპიროს კვებვაჭრობაში, ე. ი. იქ, სადაც დ. ჭიჭინაძე დირექტორობდა. გამორკვევის შედეგებზე ვაჭრობის სამინისტრომ გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომელშიც აღნიშნულია, რომ კვებვაჭრობის ქსელში ჯერ კიდევ განაგრძობენ მუშაობას ნასამართლევი და საბჭოთა ვაჭრობისათვის შეუფერებელი პირები, რომ კადრების შერჩევა, შესწავლა და განაწილება სრულიად არადამაკმაყოფილებლად ხდება. ბრძანებაში კერძოდ აღნიშნულია, რომ № 8 მაღაზიის პასუხისმგებელ გამყიდველად მუშაობს ი. ინასარიძე, რომელმაც უფაქტურო საქონლით ვაჭრობისათვის წელიწადნახევრის პატიმრობა მოიხადა. № 10 მაღაზიის გამგედ „ირიცხება" პ. მჭედლიშვილი, რომელსაც ვაჭრობის წესების დარღვევისათვის შვიდი დისციპლინარული სასჯელი აქვს დადებული.

შემდეგ ბრძანება აფრთხილებს დირექტორის მოადგილეს კადრების დარგში ამხ. გ. მგელაძეს, „რომ თუ ის არ აღმოფხვრის კადრების შერჩევის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს და არ უზრუნველყოფს ბრძანების შესრულებას, სასტიკად იქნება დასჯილი". საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კადრების განყოფილებას (უფროსი ამხ. ლ. მახარაძე) დაევალა ამ ბრძანების შესრულების მეთვალყურეობა.

გავიდა თვეები. რა მოხდა მას შემდეგ? — № 8 მაღაზიის პასუხისმგებელ გამყიდველად დღესაც მუშაობს ი. ინასარიძე, ხოლო № 10 მაღაზიის გამგედ — პ. მჭედლიშვილი.

ამის შემდეგ რაღა ფასი აქვს ვაჭრობის სამინისტროს მიერ „მიღებულ გადამჭრელ ზომებს", ქაღალდების ცარიელ კორიანტელს?!

ვაჭრობის სამინისტროში მრავალი სიგნალი და განცხადება დევს იმის შესახებ, რომ მარცხენა სანაპიროს კვებვაჭრობაშიც (დირექტორი პ. ჯმუხაძე) კადრების შერჩევის საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, რომ ზოგჯერ სავაჭრო ქსელში რევიზია ეწყობა ძმა-ბიჭურად და სხვ.

სიგნალებისადმი წაყრუებას ცუდი შედეგი მოჰყვა. საბჭოთა ვაჭრობისათვის შეუფერებელმა პირმა, საწყობის გამგემ თ. მაისაშვილმა 130.000-ზე მეტი მანეთი გაფლანგა და მიიმალა... მხოლოდ ამ ფაქტის შემდეგ ვაჭრობის სამინისტრომ დამატებით გაგზავნა რევიზია, რომელიც დღესაც განაგრძობს მუშაობას...

მშრომელთა სიგნალებს იმის შესახებ, რომ თბილისის უნივერმაღში მოკალათდნენ საბჭოთა ვაჭრობისათვის შეუფერებელი პირები, ყურადღება არ ექცეოდა. უნივერმაღის ხელმძღვანელები მატერიალურად პასუხსაგებ სამუშაოზე აწყობდნენ ნასამართლევ პირებს. ამის შედეგად უნივერმაღის ყოფილმა თანამშრომელმა ი. კიზირიამ გაფლანგა 70.000 მანეთი, ხოლო ვ. უსანეთაშვილმა — 28.000 მანეთი.

სამინისტროს განყოფილებებში, კერძოდ სასურსათო საქონლით ვაჭრობის განყოფილებაში (უფროსი შ. მოლაშვილი) მშრომელთა სიგნალების აღრიცხვა მოუგვარებელია. საჩკვების განყოფილებაში განცხადებებისა და საჩივრის წიგნი წესიერ მდგომარეობაში არ არის, შიგ ჩაკერებული აქვთ ქუთაისის სასადილოების ტრესტის № 145 ბრძანების ნახევრად დამწვარი ასლი და სხვ.

ვაჭრობის სამინისტროს პარტბიურო (მდივანი ამხ. ფ. ფიჩხაძე) ქმედით დახმარებას ვერ უწევს სამინისტროს განყოფილებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმეში. მშრომელთა სიგნალებს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სამინისტროს ადგილკომი.

როგორც ჩანს, ვაჭრობის სამინისტროში (მინისტრი ამხ. მ. ნარსია, მოადგილეები ამხ. ნ. ბაიდაშვილი და ა. ნუჟნიაკოვი) მშრომელთა სიგნალებისადმი ზოგჯერ ზერელე, არაბოლშევიკური, არაგულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენენ. ისინი ნაკლებად ზრუნავენ გაათავისუფლონ სავაჭროები უვარგისი და შეუფერებელი მუშაკებისაგან, მაშინ, როცა უმაღლეს განათლებამიღებულ ახალ კადრებს ხშირად ახლოსაც არ იკარებენ.

ყოველივე ეს იმას ლაპარაკობს, რომ სამინისტროში კრიტიკისა და თვითკრიტიკის საქმე ჯეროვან სიმაღლეზე არ არის დაყენებული.

ეს ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანებისადმი ბოლშევიკური გულისხმიერება და მათი საჭიროების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა ყოველი საბჭოთა მოსამსახურის უპირველესი მოვალეობაა. მშრომელთა კრიტიკული წინადადებების დროზე განხილვა ნიშნავს დროზე დავეხმაროთ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს დასახული საბრძოლო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში, მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

**ა. გოცირიძე**

## საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის პლენუმი

**ტყიბული.** (საკ. კორ.). შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მორიგი პლენუმი. რაიკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიონული კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჯვებენავამ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ლენინის სახელობის შახტის უფროსმა ბ. ვაჭარაძემ, სტალინის სახელობის შახტის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გ. პატარიძემ, ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველმა შ. ცირეკიძემ, კომკავშირის რაიკომის მდივანმა შ. ბაკურაძემ და სხვ.

პლენუმმა ამხ. ე. ჯვებენავა სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო გაათავისუფლა რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან. პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო ამხ. ი. გორგიძე გაათავისუფლა რაიკომის მდივნის მოვალეობისაგან.

რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. პ. ბაქრაძე, მდივნად — ამხ. ნ. ტაბატაძე.

## საბჭოთა ვაჭრობის საკითხი საქალაქო საბჭოს სესიაზე

**სტალინირი.** (საკ. კორ.). სტალინირის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მორიგმა სესიამ, რომელიც ამ დღეებში შედგა, განიხილა ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი. მოხსენება გააკეთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგემ ამხ. ლ. ხარებოვამ.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რაც უკანასკნელ ხანს განხორციელდა სტალინირის სავაჭრო ქსელში მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამასთან აღნიშნა ნაკლოვანებებიც, რომლებიც აფერხებენ კულტურული საბჭოთა ვაჭრობის ფართოდ გაშლას. საქვაჭრობის სამხრეთ ოსეთის განყოფილების ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო მომხმარებელთა სანიმუშო მომსახურება. ამ დაწესებულების ქსელში ძალიან ხშირად არ მოეპოვებათ საქონლის სავალდებულო ასორტიმენტი. მაღაზიებში დიდი რაოდენობით აწყვია ისეთი საქონელი, რომელსაც მომხმარებელი იშვიათად ყიდულობს, ხოლო შალის მზა ნაწარმი, მამაკაცის დიდი ზომის ფეხსაცმელი, თეთრეული და სხვა საქონელი, რომელზეც გაცილებით მეტი მოთხოვნილებაა, ხშირად არა აქვთ. ზოგიერთ მაღაზიაში არ იცავენ სისუფთავეს.

საქვაჭრობის სამხრეთ ოსეთის განყოფილებაში ჯერ კიდევ არის გაფლანგვა-დატაცების ფაქტები.

მეტ ყურადღებას მოითხოვს საკოლმეურნეო ბაზრის კეთილმოწყობა.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. საქალაქო საბჭოს ვაჭრობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ვ. სანაკოევმა თვითკრიტიკის წესით აღნიშნა, რომ მუდმივი კომისია სუსტად იბრძვის ქალაქის სავაჭრო ქსელში წესრიგის დამყარებისათვის. სავაჭრო დაწესებულებები ძირითადად ქალაქის ერთ ნაწილშია თავმოყრილი, მთელ რიგ ქუჩებში კი არც ერთი წერტი და მაღაზია არ მუშაობს. მოუგვარებელია პურით ვაჭრობის საქმე. პური ხშირად დაგვიანებით მიაქვთ სავაჭრო წერტებში.

სახელმწიფო ვაჭრობის უფროსმა ინსპექტორმა სამხრეთ ოსეთში ამხ. ს. ხოდოვმა გააკრიტიკა ქალაქის პროკურატურა, რომელიც ჯერ კიდევ მთელი სიმკაცრით არ იბრძვის სახელმწიფო ქონების დამტაცებლების წინააღმდეგ. პროკურატურა ხშირად დაუშვებლად აჭიანურებს დამნაშავეთა საქმის გამოძიებას.

ქალაქის სავაჭრო ქსელის ცალკეულ მაღაზიებში ვაჭრობის ჯერ კიდევ დაბალი კულტურის შესახებ ილაპარაკეს დეპუტატებმა შ. ნათაძემ და ა. მამისთვალოვმა.

განხილული საკითხის გამო სესიამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

## 312.145 ათასი მანეთი სოციალური უზრუნველყოფისათვის

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახების, ინვალიდების, სამხედრო ოჯახებისა და შრომის პენსიონერთა სოციალური უზრუნველყოფისათვის. ამას მოწმობს შემდეგი ციფრები და ფაქტები: 1951 წელს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ შრომის პენსიონერებზე გასცა 130.851 ათასი მანეთი.

სამამულო ომის ინვალიდებზე, სამხედრო ოჯახებზე და სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებზე პენსიები, სანატორიული დახმარება და ერთდროული დახმარება გაცემულია 161.653 ათასი მანეთი.

პერსონალურ პენსიონერებზე გაცემულია პენსიები, ერთდროული და საკურორტო დახმარება 12.307 ათასი მანეთი. ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიები, ერთდროული ფულადი დახმარება და სხვ. გაცემულია 4.062 ათასი მანეთი.

ინვალიდთა სახლების შენახვაზე, შრომისა და სამამულო ომის ინვალიდების გადამზადებასა და მომზადებაზე დახარჯულია 2.661 ათასი მანეთი.

სანატორიუმებში სამკურნალოდ გაგზავნილი იყო 3.119 პენსიონერი. ინვალიდების პროტეზებისათვის დაიხარჯა 1.511 ათასი მანეთი. სამამულო ომის ინვალიდებისათვის შეძენილ იქნა მოტოკალიასკა 176 ცალი, ველოკალიასკა 4 ცალი, სმენის აპარატი 60 ცალი.

# ბათუმის ფანერის ქარხნის ახალგაზრდობის შესანიშნავი თაოსნობა

ბათუმის ფანერის ქარხნის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის საწარმოებში მომუშავე ყველა კომკავშირელსა და კომკავშირგარეშე ახალგაზრდას მიმართეს პატრიოტული წერილით. ბათუმელთა წერილში ნათქვამია:

— საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის, ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ახალ გამარჯვებებს აღწევს კომუნიზმის მშენებლობაში. ჩვენს ქვეყანაში გაშლილი მძლავრი სტახანოვური მოძრაობა ხელს უწყობს მასების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის უმაგალითო ზრდას. გასული წელი მრავალი ძვირფასი თაოსნობით აღინიშნა. მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ბურევესტნიკის" სტახანოველების მ. ლევჩენკოსა და გ. მუხანოვის, ლიუბლინოს სამსხმელო-მექანიკური ქარხნის მოწინავე ხარატების ა. ჟანდაროვას და ო. აგაფონოვას პატრიოტული თაოსნობით ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე საწარმოებთან ერთად ბათუმის ფანერის ქარხნის კოლექტივი დიდი ინტერესით ეხმაურება ყოველ ახალ თაოსნობას. ყოველივე ახლის, მოწინავის, პროგრესულის წარმოებაში დანერგვის ინიციატორად ქარხნის ახალგაზრდობა გამოდის. ჩვენს საწარმოში 65 კომკავშირელი და 15 კომკავშირგარეშე ახალგაზრდა მუშაობს, თვითეული მათგანი გადაჭარბებით ასრულებს დავალებას.

ჩვენი ქარხნის თვითეულ მუშას და მოსამსახურეს უსაზღვრო სიამაყისა და სიხარულის გრძნობით აღავსებს იმის შეგნება, რომ იგი მუშაობს სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების მქონე საწარმოში, სადაც ამ საუკუნის დამდეგს დიდი სტალინი რაზმავდა მუშათა კლასს თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენს ქარხანას ამშვენებს მემორიალური დაფა, რომელიც მოგვითხრობს, რომ აქ, ყოფილ როტშილდის ქარხანაში, დიდმა სტალინმა მოაწყო და ხელმძღვანელობა გაუწია მუშათა ორ დიდ გაფიცვას, რომლებიც მუშების გამარჯვებით დამთავრდა.

რევოლუციური ბრძოლისა და გამარჯვების სტალინური ტრადიციები ახალი წარმატებებისათვის აღგვაფრთოვანებს. ქარხანაში ბევრია მოწინავე ახალგაზრდა, რომელთა შრომითი საქმეები ფართოდ არის ცნობილი. კომკავშირელები თ. ლეკვეიშვილი, ო. ტერენტიევი, მ. გრიგალაშვილი, ა. სიხარულიძე, ვ. თავართქილაძე, ა. ჩაჩოიანი და მრავალი სხვა სტახანოვური შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. ბევრ მათგანს ორ თვეში 6 თვის საწარმოო დავალება აქვს განაღდებული.

1951 წლის საწარმოო გეგმა ქარხანამ ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა. 1952 წელს ქარხნის კოლექტივის წინაშე უფრო დიდი ამოცანებია დასახული. გასულ წელთან შედარებით წელს ჩვენ არა მარტო პროდუქციის გამოშვება უნდა გავადიდოთ, არამედ შემდგომ უნდა ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ თვითღირებულება, გადაჭრით გავაუმჯობესოთ ხარისხი, უფრო სრულყოფილად ავითვისოთ ტექნიკა, გამოვავლინოთ ახალი შიდასაწარმოო რეზერვები და მაქსიმალურად გამოვიყენოთ ისინი წარმოებაში.

ჩვენ, ბათუმის ფანერის ქარხნის ახალგაზრდებმა, გადავწყვიტეთ ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1952 წლის საწარმოო დავალების ვადამდე და ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულებისათვის. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

ყველა ახალგაზრდა მუშა გავხადოთ სტახანოველი.

ქარხნის მთელ კოლექტივთან ერთად 1952 წლის სახელმწიფო გეგმა შევასრულოთ სტალინური კონსტიტუციის დღის—5 დეკემბრისათვის.

ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვითა და რაციონალიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებით გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ 3 პროცენტით.

გასულ წელთან შედარებით 1952 წელს შრომის ნაყოფიერება გავზარდოთ 10 პროცენტით.

ფართოდ დავნერგოთ წარმოებაში შრომის მოწინავე ხერხები და მეთოდები, მოსკოველი და ლიუბლინოელი ნოვატორების მ. ლევჩენკოს და გ. მუხანოვის, ა. ჟანდაროვასა და ო. აგაფონოვას თაოსნობის მიხედვით მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ყოველი საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულებისათვის.

მოვაწყოთ მოწინავე მეავეჯეებისა და მეფანერეების მუშაობის გამოცდილების ფართო პოპულარიზაცია, უზრუნველვყოთ საამქროებსა და ბრიგადებში ყოველდღიური მუშაობის შედეგების ზუსტი აღრიცხვა.

ყველა ახალგაზრდა მუშა ჩავაბათ ტექნიკური მინიმუმის შემსწავლელ წრეებში და სტახანოვურ სკოლებში.

ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებებს, მოწოდებით მივმართავთ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის საწარმოთა ყველა ახალგაზრდას:

— კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1952 წლის გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ჩავაბათ მასში ყველა კომკავშირელი და კომკავშირგარეშე ახალგაზრდა, სრული სიმძლავრით ავითვისოთ მოწინავე საბჭოთა ტექნიკა, გავაუმჯობესოთ ტექნოლოგიური რეჟიმი და გავადიდოთ მანქანა-დანადგართა წარმადობა, ფართოდ გავაჩაღოთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდა მუშებს შორის, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ და დავიცვათ სოციალისტური საკუთრება—საბჭოთა წყობილების ურყევი საფუძველი.

ბათუმის ფანერის ქარხნის კომკავშირელებისა და კომკავშირგარეშე ახალგაზრდების სახელითა და დავალებით წერილზე ხელს აწერენ: კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. სალუქვაძე, სტახანოველი მეფანერეები — გ. კოპლატაძე, ვ. გრიგალაშვილი, ნ. ბესედინი, ა. პაშკევიჩი, ა. მუზაშვილი, ა. კაკაბაძე, ვ. თავართქილაძე, ვ. გრიბაკოვა და სხვები.

გრიგოლ აბაშიძე

# არაგვის წყალი თბილისში

მდინარეს მისდევს თხრილების ზოლი,
ხევს დაჰფენია მთათა ჩრდილები
და ხველ მიწაზე საწნახლის ტოლი
პირდაღებული წევან მილები.

სწორები, როგორც თოფის ლულები,
ვიდრე არ ნთქამენ ჩქერებს
შფოთიანს,
თხრილში, გვირაბში ჩამალულები
თბილისისაკენ უხმოდ მოდიან.

მოდიან, მაჯა კიდევ არ უცემთ,
მაგრამ ელიან უეცარ ქუხილს,
და გარს ერტყმიან თბილისის ფუძეს,
როგორც ფესვები ზღაპრული მუხის.

* * *

ამ უშველებელ ფესვებში მალე
არაგვის წყალი წავა გრიალით,
თბილისი ახალ წყაროს წყალს
დალევს,
არაგვი მოვა არა გვიანი.

ვინ იფიქრებდა ამაზე გუშინ,
ამბები ხდება გასაოცარი:
ზღვას ორთქლი ასდის უდაბნოს
გულში,
წალკოტად იქცა ნაჯამბარი.

ქვაშიც ხმა ისმის სიცოცხლის
ფეთქვის,
შუქი ისწრაფის ბნელში აენთოს,
ერთი მდინარე მეორეს ერთვის,
შემდეგ ორი ზღვა რომ შეაერთოს.

დგას ტყის კედელი, მინდვრისკენ
მძაფრად
მოიჭროლავ ქარს რომ გზას
ულობავდეს,
ოცნების ფრთებით მიაფრენს აფრა
ბეტონის არხში გასულ ხომალდებს.

სტალინის დროშით, მშვიდობის
დროშით
სასწაულები ხდება რამდენი,
და ამ ბუნების გარდაქმნის დროში,
ვის გააკვირვებს ეს წყალსადენი.

მაგრამ მახარებს, რომ გასცქერს
თვალი,
ამ მილებს მუხის მორების სიმსხოს,—
ჩვენს დედაქალაქს არ ჰყოფნის
წყალი,
თბილისი ახალ წყაროებს ითხოვს.

* * *

მთებში ნაკური, კლდეში ნადენი,
სიცივით მსგავსი სისხამ დილის,
თბილისში მოდის წყარო რამდენი,
და მაინც წყალი სწყურია თბილისს.

მას მტრები ბევრჯერ მგლებივით
გლეჯდნენ,
თხრიდნენ, ანგრევდნენ, სწვავდნენ
აშკარად.
და წყალსადენი კი არა, ბევრჯერ
არ შერჩენია წყაროც წკანწკარა.

მაინც დგებოდა, მეხით, ცის ტეხით
წელგატეხილი, ბევრის მომთმენი
და მოსვენებულს მტრისგან მცირე
ხნით
წყალიც ჰყოფნიდა მცირეოდენი.

მაგრამ წავიდა ის დრო შავბნელი,
გათავდა ნგრევა, ცეცხლი რამდენი!..
სტალინის ხელი ხალხის დამხსნელი
გახდა თბილისის მკვდრეთით
აღმდგენიც.

შეხედე, მხრები როგორ გაშალა,
ერთ დროს რომ ჰგავდა დანგრეულ
ბუდეს,
მარჯვენა ბეჭით მისწვდა ავჭალას,
მარცხენა ბეჭი რუსთავთან უდევს.

უკვე ვერ სწვდება თვალი ადვილად,
მტკვრის გასწვრივ, ბოლო არ
ჰქონდეს თითქოს,
ისე აშენდა, ისე გაზრდილა,
რომ კიდევ ახალ წყაროებს ითხოვს.

* * *

დგას გაზაფხულის მსგავსი დღეები,
ცაზე ღრუბლების ნაფლეთებია,
მალე ტყემლის და ნუშის ხეები
შადრევნებივით აფეთქდებიან.

უკვე მარტია, ქარი არა ჰქრის,
თითქო სულ დათბა და მაისია...
მალე ქუჩები დედაქალაქის
ნამდვილ შადრევნებს ცად აისვრიან.

მოვა არაგვი, მოვა სულ მალე,
მთებიდან, როგორც გმირი ლომგული
და ცივ წყაროებს ხელებს
მხურვალეს
მოხვევს თბილისი
წყურვილმოკლული.

მოვა ქუხილით, განა წკანწკ რით,
ააშრიალებს თბილისის კალთას...
ეს ლექსიც დახვდეს როგორც მაყარი
არაგვის მოსვლას თბილისის კართან.

# მოწინავე კოლმეურნეობა

დიდი შრომითი აღმავლობაა მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის ანდრეევის სახელობის გამსხვილებულ კოლმეურნეობაში. წინათ ამ სოფელში ორი კოლმეურნეობა იყო. გაერთიანებამდე ორივე კოლმეურნეობის შემოსავალი 5 მილიონ მანეთამდე აღწევდა, გაერთიანების შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. შეიქმნა საუკეთესო პირობები საკოლმეურნეო წარმოების გასაფართოებლად. კოლმეურნეებმა წარმატებით დაასრულეს გასული სამეურნეო წელი. მარტო ფულადმა შემოსავალმა 6 მილიონ მანეთს მიაღწია, შრომადღეზე 26 მანეთი და სამი კილოგრამი მარცვლეული დარიგდა.

გასული წლის შედეგებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები დიდ წარმატებებს აღწევენ საგაზაფხულო სამუშაოებში. კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ჟ. ხომერიკი) ვადაზე 25 დღით ადრე დამთავრდა 172 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ფოსფოროვანი სასუქის შეტანა და შებარვა. წარმატებით მიმდინარეობს ჩაის ბუჩქების გასხვლა.

წელს კოლმეურნეობაში 9 ჰექტარ ჩაის პლანტაციას აშენებენ, რისთვისაც გაცხოველებით მუშაობენ, ამზადებენ ნიადაგს. წელს პირველად აშენებენ ყურძნის ცნობილ ჯიშს — ჩხავერს. კარგად გამოიზამთრეს 12.000 ძირი ციტრუსოვანთა ნერგი, აქედან 4.500 ძირი ლიმონი. მომზადებულია 3 ჰექტარი ნიადაგი ტრიფოლიატის საძირის გადასარგავად და ტუნგოს, თუთის, ტრიფოლიატის და ხურმის დასათესად.

კოლმეურნეობაში გაჩაღებულია საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. გადარჩეული და შემოწმებულია სათესლე სიმინდი, დამთავრებულია საყანე ფართობების გაწმენდა, დაწყებულია ჩალიანისა და ლეკიანის ფართობების ტრაქტორებით ხვნა.

კოლმეურნეობა ამთავითვე ემზადება ჩაის ფოთლის კრეფისათვის. დამთავრდა ბრიგადებსა, რგოლებსა და კოლმეურნეებზე ნაკვეთების მიჩენა, მიმდინარეობს საპლანტაციო გზების გაყვანა და შეკეთება, პლანტაციებში წესრიგზე მოჰყავთ თავშესაფარი ფარდულები, საკმაო რაოდენობით შეიძინეს ჩაის საკრეფი კალათები, გოდრები, სასწორები, ჩაის ფოთლის გადმოსაზიდი ყუთები.

საგაზაფხულო სამუშაოთა ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შესრულების საქმეში სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა პლატონ მახარაძის ბრიგადა. აქ 17 ჰექტარი ჩაის პლანტაციის შებარვის გეგმა ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულეს და წარმატებით ამთავრებენ ბუჩქების გასხვლას. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ აგრეთვე ტიტე ხელაძის, თედორე ხომერიკის და გრიშა ჟღენტის ბრიგადები.

კოლმეურნეობაში სახელი გაითქვეს იმ რგოლებმა, რომელთაც ქეთო ჯინჭარაძე, ეკატერინე ნიკოლაიშვილი, ნინო თოიძე, თომა ბორჩხაძე, მარო ბერძენიშვილი, დიმიტრი ჭელიძე და გრიშა თენიეიშვილი ხელმძღვანელობენ. ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ კოლმეურნეები ტიტე ლომინაძე, ალფეზ გედევანიძე, ნიკოლოზ გიორგაძე, ანთიმოზ სალუქვაძე, შურა შარაშიძე, სოციალისტური შრომის გმირი ზინა ცხომელიძე, ნინო გედევანიძე, დოდო სეფერთელაძე, ანა მემარნიშვილი და დიმიტრი მახარაძე.

ცხემლისხიდის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობა დღითიდღე ძლიერდება და მტკიცდება.

ვ. ჯაყელი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# ემზადებიან ჩაის კრეფის სეზონისათვის

ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქვის საბჭოთა მეურნეობა წლითიწლობით ზრდის ჩაის ფოთლის მოსავლიანობას. მაგალითად, გასულ წელს საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 3.270 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. გაცილებით მეტი, ვიდრე 1950 წელს. მეურნეობამ 106,1 პროცენტით შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა, ჩაბარებული ფოთლის 76,2 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო.

ასეთი მიღწევებით შეუდგა მეურნეობის კოლექტივი მზადებას ჩაის ფოთლის კრეფის ახალი სეზონისათვის. თავიდანვე მთავარი ყურადღება მიექცა პლანტაციების მოვლა-დამუშავების სამუშაოებს. ამ მიზნით აგროუბნებსა და ბრიგადებს შორის ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. მეურნეობამ დროზე მოიმარაგა მინერალური სასუქი და შეუდგა მის შეტანას ჩაის პლანტაციებში. მაღალხარისხოვნად სრულდება პლანტაციების დაბარვა, ყველა დაბარულ პლანტაციაში შეტანილია სასუქების საჭირო დოზები. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს პირველმა, მეორე და მესამე აგროუბანმა.

წელს მეურნეობამ იკისრა საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 4 ტონა ჩაის ფოთოლი. უფრო უხვი მოსავლისათვის იბრძვიან მეურნეობის მოწინავე ადამიანები. მეურნეობაში 40-ზე მეტი მოწინავე მუშაა, რომლებმაც გასულ წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 5-7 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. მ. მიხაილენკომ შარშან ჰექტარზე მიიღო 5.566 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, წელს 7 ტონის მიღებისათვის იბრძვის. ასეთები აქ ბევრნი არიან.

მ. ჭოჭუა
„კომუნისტის" კორესპონდენტი

# ჭეხურის საბჭოთა მეურნეობაში

ცხაკაია. (საქ. კორ.). გაჩაღდა მინდვრის სამუშაოები ლიმანტრესტის ჭეხურის საბჭოთა მეურნეობაში. მიმდინარეობს ნიადაგის მომზადება ციტრუსების გასაშენებლად. დაამთავრეს 4-მწკრივიანი ქარსაფარი ზოლის გაშენება 2 კილომეტრ მანძილზე, 1.800 მეტრზე გაშენებულია ცოცხალი ღობე. დამზადებულია ხურმის 16.500 ძირი საკალმე ნერგი.

მეურნეობაში დაამთავრეს 6 ჰექტარი ბამბუკის პლანტაციის გადაბარვა, ნიადაგი მოამზადეს სანერგისათვის, გაყვანილია 6.000 მეტრი სიგრძის წყალსაწრეტი არხი.

# ახალი წიგნები

**ივანე ფრანკო. პოეზია.** „საბჭოთა მწერალი", 1951 წ., ტირაჟი 10.000, 178 გვ., ფასი 10 მან.

**ჰოუარდ ფასტი. თავისუფლების გზა.** თარგმანი ინგლისურიდან გივი ქვანიასი. სახლიტგამი. ტირაჟი 8.000, 329 გვ., ფასი 15 მანეთი.

**ლიტერატურული ძიებანი. VII.** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1951 წ., ტირაჟი 1.500, 365 გვ., ფასი 15 მანეთი.

**ანტონ ფურცელაძე. რჩეული ნაწერები.** სახელგამი, 1951 წ., ტირაჟი 10.000, 560 გვ., ფასი 26 მან. და 60 კაპ.

**ვასო ურუშაძე. მოგონებანი.** „ხელოვნება", 1951 წ., ტირაჟი 5.000, გვ. 117, ფასი 6 მანეთი.

**საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა — ტომი II,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1951 წ., ტირაჟი 1.000, 411 გვ., ფასი 26 მან.

# მარქსისტული ფილოსოფიის საპროგრამო დოკუმენტი

## (ვ. ი. ლენინის შრომის „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ" 30 წლისთავი)

სტატია „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ" ვ. ი. ლენინმა დაწერა 1922 წლის 12 მარტს.

ეს ის პერიოდი იყო, როცა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა ახალი გამოსული იყო სისხლისმღვრელი, დამანგრეველი სამოქალაქო ომიდან და იწყებდა მშვიდობიან აღმშენებლობითს მუშაობას. რუსეთის მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა, შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის ბნელ ძალებზე ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებულნი, ახალი ენთუზიაზმით უტევდნენ კლასობრივ მტერს სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყოველ ფრონტზე. ახალ გამარჯვებებს მოჰქონდა კლასობრივი ბრძოლის შემდგომი გამწვავება როგორც პოლიტიკისა და ეკონომიკის, ისე იდეოლოგიის სფეროში.

ბურჟუაზიის იდეოლოგები ჩვენი ქვეყნის შიგნით და გარეთ ქადაგებდნენ რეაქციულ პოლიტიკურ თეორიებს, ილაშქრებდნენ მარქსისტული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, დიალექტიკური მატერიალიზმის წინააღმდეგ და წამლავდნენ მსოფლიო მუშათა კლასის შეგნებას. ეს იყო მსოფლიო ბურჟუაზიის იდეოლოგიური რეაქცია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიმართ.

დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა დარაზმეს ჩვენი პარტია ბურჟუაზიის ამ რეაქციულ იდეოლოგიურ შემოტევასთან საბრძოლველად. ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და იდეალისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, დაარსდა ჟურნალი „პოდ ზნამენემ მარქსიზმა", რომელსაც უნდა გაეწია დიალექტიკური მატერიალიზმის პროპაგანდა, ათეიზმის პროპაგანდა; უნდა აღეზარდა მასები ნამდვილი მეცნიერული, მარქსისტული მსოფლმხედველობის სულისკვეთებით.

მაგრამ ჟურნალის პირველი ნომრები თავის სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა. მასში დაბეჭდილი ზოგიერთი წერილი ბურჟუაზიული ობიექტივიზმის ხასიათს ატარებდა, დავიწყებული იყო ფილოსოფიის პარტიულობის მარქსისტულ-ლენინური პრინციპი, რომელიც მოითხოვს შეურიგებელ ბრძოლას ყოველგვარ რეაქციულ შეხედულებებთან. ჟურნალში დაბეჭდილი მასალები დაკავშირებული არ იყო სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის საკითხებთან. ყოველივე ამან განაპირობა ლენინის გამოსვლა სტატიით „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „პოდ ზნამენემ მარქსიზმას" № 3-ში.

ლენინის ეს გენიალური შრომა წარმოადგენს მარქსისტული ფილოსოფიის ერთ-ერთ საპროგრამო ნაწარმოებს. ამ შრომაში ლენინმა შემდგომ განავითარა მარქსისტული ფილოსოფია; გამოჰყო ძირითადი ამოცანები საბჭოთა ფილოსოფიური ფრონტის ამოცანათა სისტემაში: ბრძოლა ბურჟუაზიულ-რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ, მარქსისტული დიალექტიკის შემოქმედებითი დამუშავება და მეცნიერული მსოფლმხედველობის პროპაგანდა მშრომელთა ფართო ფენებში.

ლენინის ამ შრომამ დიდი როლი შეასრულა და ახლაც ასრულებს რეაქციული იმპერიალისტური იდეოლოგიის მხილებისა და განადგურების საქმეში. იგი აიარაღებდა და კვლავ აიარაღებს ჩვენს მეცნიერულ კადრებს, საბჭოთა ხალხს გადაგვარებული ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

* * *

კლასობრივი ბრძოლა ფილოსოფიაში თავის გამოხატულებას პოულობს იდეალიზმისა და მატერიალიზმის ბრძოლაში. თუ იდეალიზმი თავისი ანტიმეცნიერული ხასიათით ორგანულად არის დაკავშირებული რელიგიასთან, ხუცობასთან, ბნელეთისმოციქულობასთან, მატერიალიზმი თავისი შინაგანი ბუნებით განუყრელად არის დაკავშირებული მეცნიერებასთან, ცხოვრებასთან, რევოლუციურ პრაქტიკასთან.

შეურიგებელი ბრძოლა იდეალიზმის წინააღმდეგ, ხუცობისა და ბნელეთისმოციქულობის წინააღმდეგ, ბრძოლა მატერიალიზმის დაცვისა და განვითარებისათვის — წარმოადგენს ფილოსოფიისა და მეცნიერების პარტიულობის ბოლშევიკური პრინციპის არსებით შინაარსს.

ვ. ი. ლენინი განმარტავდა, რომ სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი ბოლშევიკური პრინციპის დაცვასა და განვითარებას უნდა ემსახურებოდეს ყოველი თეორიული ჟურნალი.

ვ. ი. ლენინი ამახვილებდა ყურადღებას ორ საშუალებაზე, რომლებიც დიდად შეუწყობდნენ ხელს იდეალიზმისა და ხუცობის წინააღმდეგ ბრძოლას: ა) უპარტიო მატერიალისტ ბუნებათმეცნიერთა დარაზმვა კომუნისტური ავანგარდის მიერ და ბ) ჰეგელის დიალექტიკური შრომებისა და XVIII საუკუნის დამლევის მებრძოლი ათეისტური ლიტერატურის თარგმნა და გავრცელება.

ლენინი მიუთითებდა რუსული ბუნებათმეცნიერების საუკუნოვან მატერიალისტურ ტრადიციებზე და სახავდა საბჭოთა ბუნებათმეცნიერების განვითარების ფართო პერსპექტივებსა და მის როლს იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მატერიალისტ - ბუნებისმეტყველთა დარაზმვა და ხელმძღვანელობა მხოლოდ იმას როდი ემსახურება, რომ მათი მიღწევებით მარქსისტული მსოფლმხედველობის სისწორე, დიალექტიკური მატერიალიზმის მეცნიერულობა დავასაბუთოთ. ეს არის საქმის ერთი მხარე. მარქსისტული ფილოსოფიისა და ბუნებათმეცნიერების კავშირის მეორე მხარე, ჩვენი მსოფლმხედველობისა და კონკრეტულ მეცნიერებათა ურთიერთობის მეორე მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მარქსისტული ფილოსოფიის დაუფლება წარმოადგენს გადამწყვეტ პირობას კონკრეტულ მეცნიერებათა ცალკეულ დარგებში კვლევა-ძიების ნამდვილ მეცნიერულ სიმაღლეზე დაყენებისათვის. არა მარტო ბუნებათმეცნიერება ეხმარება ფილოსოფიას იდეალიზმისა და რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ფილოსოფიაც ეხმარება ბუნებათმეცნიერებას მეცნიერული კვლევა-ძიების წარმატებით განხორციელების საქმეში, ბუნებათმეცნიერების სხვადასხვა დარგებში ცრუმეცნიერული, იდეალისტური, რეაქციული შეხედულებების გამოაშკარავებისა და დაძლევის საქმეში.

ეს ორმხრივი შემოქმედებითი კავშირი მსოფლმხედველობასა და ცოდნის კონკრეტულ დარგებს შორის, რაც მარქსისტული ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი საკითხია, განსაკუთრებული სიღრმითა და ყურადღებით არის განხილული ლენინის ამ გენიალურ შრომაში.

მარქსისტული ფილოსოფიის პრინციპული სიახლე და თვისობრივი განსხვავებულობა მარქსამდელი ფილოსოფიისაგან განაპირობებს ბუნებათმეცნიერებასთან მის ასეთ მჭიდრო, ორგანულ კავშირს. მარქსისტული ფილოსოფია რაღაც „მეცნიერებათა მეცნიერება" კი არ არის, რომელსაც შეეძლოს ზოგადი სქემებისა და ჩარჩოების მოცემა კონკრეტულ მეცნიერებათა აგებისათვის, როგორც მიაჩნდათ ფილოსოფია მარქსამდე. ლენინი გვასწავლის, რომ მარქსისტული ფილოსოფია მოწინავე, მეცნიერული მსოფლმხედველობაა, რომლის შინაარსი სხვა არაფერია, თუ არა მოძღვრება მთელი სინამდვილის ზოგად კანონზომიერებაზე. ამ კანონზომიერებათა ცოდნა გვაიარაღებს სინამდვილის შემეცნებისა და მიზანშეწონილი გარდაქმნის მეცნიერული მეთოდით, პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობის მეთოდით. ამ მეთოდის დაუუფლებლად წარმოუდგენელია რაიმე სერიოზული მიღწევა ბუნებათმეცნიერებაში, სერიოზული მიღწევა ბუნებათმეცნიერების ბრძოლაში რეაქციული იდეალისტური თეორიებისა და შეხედულებების წინააღმდეგ.

„...უნდა გავიგოთ, — წერს ვ. ი. ლენინი,—რომ თუ მტკიცე ფილოსოფიური დასაბუთება არ არსებობს, ვერავითარი საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ვერავითარი მატერიალიზმი ვერ გაუძლებს ბრძოლას ბურჟუაზიულ იდეათა თავდასხმის წინააღმდეგ და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის აღდგენას. ამ ბრძოლას რომ გაუძლოს და იგი ბოლომდე სრული წარმატებით ჩაატაროს, ბუნებისმეტყველი უნდა იყოს თანამედროვე მატერიალისტი, შეგნებული მიმდევარი იმ მატერიალიზმისა, რომელიც წარმოდგენილია მარქსის მიერ, ე. ი. დიალექტიკური მატერიალისტი უნდა იყოს" (გვ. 589-590).

თუ მარქსისტული დიალექტიკა ობიექტური სინამდვილის შემეცნებისა და პრაქტიკულ-რევოლუციური მოქმედების მეცნიერული მეთოდია, თუ იგი ნამდვილი მეცნიერული, ჭეშმარიტი აზროვნების თეორიაა, ცხადია მის დაუუფლებლად, სწორი, მეცნიერული აზროვნების უნარის დაუუფლებლად წარმოუდგენელია რაიმე მიღწევა მეცნიერებისა თუ პრაქტიკული მოღვაწეობის რომელიმე დარგში.

ვ. ი. ლენინი ამასთან ერთად იძლეოდა უაღრესად საყურადღებო, სახელმძღვანელო მითითებებს მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის დაუფლების გზებისა და საშუალებების შესახებ. ლენინი წერდა: „ამ მიზანს რომ მიაღწიონ, ჟურნალ „პოდ ზნამენემ მარქსიზმას" თანამშრომლებმა, უნდა მოაწყონ ჰეგელის დიალექტიკის სისტემატური შესწავლა მატერიალისტური თვალსაზრისით... რა თქმა უნდა, ჰეგელის დიალექტიკის ასეთი შესწავლა, ასეთი გაგება და ასეთი პროპაგანდა მეტისმეტად ძნელი საქმეა, და, უეჭველია, ამ მხრივ პირველი ცდები უშეცდომო არ იქნება. მაგრამ არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს არ აკეთებს. იმაზე დამყარებით, თუ როგორ იყენებდა მარქსი ჰეგელის მატერიალისტურად გაგებულ დიალექტიკას, ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა დავამუშაოთ ეს დიალექტიკა ყოველმხრივ, დავბეჭდოთ ჟურნალში ნაწყვეტები ჰეგელის უმთავრესი თხზულებებიდან, მატერიალისტურად განვმარტოთ ისინი, კომენტარები გავუკეთოთ დიალექტიკის მარქსისებური გამოყენების ნიმუშებით, აგრეთვე ეკონომიურ, პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში დიალექტიკის გამოყენების იმ ნიმუშებით, რომელთაც უახლესი ისტორია, განსაკუთრებით კი თანამედროვე იმპერიალისტური ომი და რევოლუცია მეტად ბევრს იძლევიან" (გვ. 590-591).

ამავე საკითხს უკავშირდება XVIII საუკუნის დამლევის მებრძოლი ათეისტური ლიტერატურის თარგმნისა და გავრცელების საკითხი, რასაც ლენინი გადაუდებელ ამოცანად თვლიდა.

წარსულის მოღვაწეთა მატერიალისტური და დიალექტიკური თხზულებების თარგმნა და გავრცელება,—გვასწავლის ლენინი,—მშრომელთა ფართო მასების მიერ მარქსიზმის ღრმად დაუფლებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. მარქსიზმი კანონიერი მემკვიდრეა ყოველივე იმ პროგრესულის და მოწინავესი, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია, და ამ ისტორიულ-მეცნიერული მემკვიდრეობის გაცნობისა და შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად დაუფლება.

ფილოსოფიის ისტორიის დადებით მონაპოვართა შესწავლა, კერძოდ მატერიალიზმისა და დიალექტიკის ისტორიის შესწავლა ერთადერთი გზა როდია მარქსისტული ფილოსოფიის — დიალექტიკური მატერიალიზმის დაუფლებისათვის. მარქსისტული ფილოსოფიის დაუფლების უმნიშვნელოვანესი გზაა აგრეთვე, ბუნებათმეცნიერების ახალი მიღწევებისა და პრაქტიკულ-რევოლუციური მოძრაობის ახალი გამოცდილების თეორიული ანალიზი და განზოგადება. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მარქსისტული ფილოსოფიის არსებით ამოცანას და მისი განვითარების ერთადერთ საშუალებას. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ლენინის შრომაში.

ლენინი მიუთითებდა, რომ ლპობადი, რეაქციული კაპიტალიზმის პირობებში ხშირია ბურჟუაზიის იდეოლოგების მიერ ბუნებათმეცნიერების დიდ მიღწევათა მცდარი იდეალისტური ინტერპრეტაცია. „უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ იმ მძაფრი მსხვრევისაგან, რომელსაც თანამედროვე ბუნებისმეტყველება განიცდის, ხშირად იბადებიან რეაქციული ფილოსოფიური სკოლები და მიმართულებანი. ამიტომ თვალყურის დევნება იმ საკითხებისადმი, რომელთაც უახლესი რევოლუცია ბუნებისმეტყველების დარგში აყენებს, და ფილოსოფიურ ჟურნალში საამისო მუშაობისათვის ბუნებისმეტყველთა ჩაბმა,—ეს ისეთი ამოცანაა, რომლის გა-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

## ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი კლემენტ გოტვალდი ბერლინს ჩავიდა

ბერლინი, 11 მარტი. (საკდესი). დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის მოწვევით ბერლინს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი კლემენტ გოტვალდი მთავრობის დელეგაციის თანხლებით.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვილემ შიროკი, ეროვნული უშიშროების მინისტრი კარელ ბაცილეკი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი იოზეფ პლოიჰარი, სახელმწიფო საგეგმო სამმართველოს თავმჯდომარე მინისტრი იოზეფ პუჩიკი, სამშენებლო მრეწველობის მინისტრი ემანუილ შლეხტა და მათი თანმხლები პირები.

გერმანია-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდსა და მის თანმხლებ მთავრობის დელეგაციას შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრ გეორგ დერტინგერის მეთაურობით.

ბერლინის აღმოსავლეთ ვაგზალზე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს შეხვდნენ: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლის მეთაურობით, სახალხო პალატის თავმჯდომარე იოჰანეს დიკმანი, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ეროვნული პრემიის ლაურეატი პროფესორი დოქტორი შტრაუსი, დიდი ბერლინის ობერ-ბურგომისტრი ფრიდრიხ ებერტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური პარტიებისა და მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოჩენილი წარმომადგენლები, აგრეთვე ბერლინში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის მამასახლისი, ბერლინში საბჭოთა კავშირის დიპლომატიური მისიის მეთაური, ელჩ გ. მ. პუშკინის მეთაურობით და გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის წარმომადგენლები საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარესთან მყოფი პოლიტიკური მრჩევლის ელჩ ვ. ს. სემიონოვის მეთაურობით. აღმოსავლეთი ვაგზალი და მოედანი სადღესასწაულოდ არის მორთული ი. ბ. სტალინის, კლემენტ გოტვალდისა და ვილჰელმ პიკის პორტრეტებით. ყველგან ფრიალებს წითელი დროშები, ჩეხოსლოვაკიის თეთრ-წითელ-ლურჯი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შავ-წითელ-ოქროსფერი ეროვნული ალმები. აღმოსავლეთ ვაგზლის შესავალთან აღმართული ტრიბუნის ორივე მხარეს ტრანსპარანტებია ლოზუნგებით ჩეხურ და გერმანულ ენაზე.

აქ მოვიდნენ ბერლინის ათასობით მცხოვრები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რათა მისალმებოდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს კლემენტ გოტვალდს.

მიესალმა რა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდს, პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა განაცხადა: „თქვენი მობრძანება, ამხანაგო პრეზიდენტო, დაემთხვა გერმანელი ხალხისათვის უაღრესად პასუხსაგებ პოლიტიკურ მომენტს. გერმანელი ხალხი იბრძვის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის, რაზეც ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები უკვე შვიდი წელია უარს ეუბნებიან მას საერთაშორისო სამართლის ყველა პრინციპის წინააღმდეგ და პოტსდამის შეთანხმების დადგენილებათა წინააღმდეგ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გერმანელ ხალხს თავის ამ ბრძოლაში შეუძლია ჩეხოსლოვაკიის ხალხის მეგობრული დახმარებისა და მხარდაჭერის იმედი იქონიოს. ამიტომ ყველა გერმანელ პატრიოტს თქვენი ჩამოსვლა მიაჩნია როგორც სერიოზული გამოხატულება ჩეხოსლოვაკიის ხალხის ნდობისა ახალი გერმანიისადმი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი, როგორც საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის დემოკრატიული ერთიანობისათვის ბრძოლაში მტკიცე საფუძველისადმი".

თავის სიტყვაში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კლემენტ გოტვალდმა რწმენა გამოთქვა, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხის წარმომადგენელთა ყოფნა ბერლინში კიდევ უფრო გააძლიერებს და განამტკიცებს კავშირსა და მეგობრობას ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

„მე მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, — განაცხადა გოტვალდმა მოედანზე შეკრებილთა ტაშის გრიალში, — რომ სიტყვები მეგობრობის შესახებ ფუჭი სიტყვები როდია და რომ ჩვენი მეგობრობა ფუჭი ფორმალობა როდია. არა, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელთან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მეგობრობას მტკიცე საფუძველი აქვს. ეს საფუძველი ემყარება ჩვენს საერთო ინტერესებს. საერთო ინტერესები, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის ხალხს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობასთან აკავშირებს, არის საერთო ბრძოლა ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობის დაცვა მთელ მსოფლიოში, საერთო ბრძოლა ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიისათვის, საერთო მადლობა ჩვენი განმათავისუფლებლის — საბჭოთა კავშირისა და მისი დიდი ბელადის სტალინისადმი".

## ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კლემენტ გოტვალდმა ოფიციალური ვიზიტი გაუკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვილჰელმ პიკს

### ვ. პიკის განცხადება

ბერლინი, 11 მარტი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კლემენტ გოტვალდმა დღეს ოფიციალური ვიზიტი გაუკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ვილჰელმ პიკს. შეხვედრას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის წევრები, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე დიკმანი, პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები: ვალტერ ულბრიხტი, ოტო ნუშკე, ჰაინრიხ რაუ, დოქტორი ჰანს ლოხი და დოქტორი ლოთარ ბოლცი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს და პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელი მოღვაწენი.

პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდის მისასალმებელი სიტყვის პასუხად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა, კერძოდ, განაცხადა: „ძვირფასო მეგობრებო! თქვენი მობრძანება ემთხვევა გერმანიისა და მთელი მსოფლიოსათვის სხვა მნიშვნელოვან მოვლენას, საბჭოთა მთავრობის გუშინდელი ნოტის გამოქვეყნებას მისი წინადადებით გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების შესახებ. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობაც უშუალო მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა წინადადებით გათვალისწინებული სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის საქმეში. საბჭოთა მთავრობის ეს ახალი სამშვიდობო ნაბიჯი, რომელსაც თვალსაჩინო და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ევროპის მშვიდობისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის დელეგაციის მეგობრულ ვიზიტს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში".

## მარქსისტული ფილოსოფიის საპროგრამო დოკუმენტი

(დასასრული)

დაუცხრელად მებრძოლი მატერიალიზმი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება ვერც მებრძოლი, ვერც მატერიალიზმი" (გვ. 589).

იმპერიალიზმის გახრწნისა და გადაგვარების თანამედროვე პირობებში, როცა დღითიდღე მწვავდება კლასობრივი ბრძოლა და იზრდება ბურჟუაზიის პოლიტიკური და იდეური რეაქცია, კრიზისი ბუნებათმეცნიერებაში კიდევ უფრო გაღრმავდა. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში ფართო გასაქანი ეძლევა რელატივიზმსა და აგნოსტიციზმს. ამ ქვეყნების რეაქციონერი ბუნებისმეტყველები და ფილოსოფოსები გაჰყვირიან „მეცნიერების ჩიხზე", „ჭეშმარიტი ცოდნის შეუძლებლობაზე", ცოდნისა და მეცნიერების შეზღუდვისა და რწმენისა და რელიგიისათვის ადგილის დათმობის აუცილებლობაზე.

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიური აზროვნების მრავალფეროვანი „იზმების" ჭრელ სამოსელში იმალება ბურჟუაზიული აზროვნების გახრწნა და გადაგვარება, იდეალიზმი, ხეცრობა და ბნელეთისმოციქულობა. ბურჟუაზიის რეაქციონერი იდეოლოგები გამოდიან ახალი ომის გაჩაღების მოწოდებით, ამ ომში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების გამოყენებისათვის.

რეაქციული ბუნებათმეცნიერებისა და ფილოსოფიის წინააღმდეგ ილაშქრებენ კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესული მოაზროვნეები. ისინი ააშკარავებენ რეაქციონერ სწავლულთა არა მარტო თეორიულ შეცდომებსა და ანტიმეცნიერულობას, არამედ აგრეთვე მათ გამცემლურ, მოღალატურ როლს მეცნიერებისა და საზოგადოებრივი კულტურის პროგრესისადმი.

რეაქციული იდეალისტური ბუნებათმეცნიერებისა და ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მეცნიერებასა და კულტურას, მის საბუნებისმეტყველო მიღწევებსა და თეორიულ ფილოსოფიურ აზროვნებას. ჩვენს ქვეყანაში მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობას კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული გაქანება მიეცა. საბჭოთა მეცნიერებმა გაამდიდრეს ბუნებისმეტყველება ახალი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენებით; საბჭოთა ფიზიკოსებმა უმოკლეს ვადაში გადაჭრეს ბირთვშიგნითა ენერგიის გამოყენების ამოცანა; საბჭოთა ბიოლოგებმა, ფიზიოლოგებმა მიჩურინისა და პავლოვის გენიალურ ტრადიციებზე გარდაქმნეს მუშაობა და დიდ შემოქმედებით აღმავლობას მიაღწიეს; დიდი მიღწევებია მოპოვებული საბჭოთა ასტრონომიაში, გეოლოგიაში და მეცნიერების სხვა დარგებში.

საბჭოთა მეცნიერების ამ მიღწევებს განაპირობებს ბოლშევიკური პარტიის დიდი მზრუნველობა ჩვენი მეცნიერებისადმი. პარტია ყველა პირობას ქმნის შემოქმედებითი კვლევა-ძიების გაშლისათვის. უმთავრესი ამ პირობათაგანი არის მარქსისტული ფილოსოფიის დაუფლება, დიალექტიკური მატერიალიზმის დაუფლება.

ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი თავის უკვდავ შრომებში აღრმავებს და ავითარებს დიალექტიკურ მატერიალიზმს და იძლევა კონკრეტულ სახელმძღვანელო მითითებებს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ბუნებათმეცნიერებმა დიალექტიკური მატერიალიზმი მათს სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში.

მოწინავე, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეიარაღებული საბჭოთა მეცნიერება ცოდნის ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობს.

გ. ბანძელაძე

## კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 11 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მფრინავებმა ჩამოაგდეს მტრის 4 ავიაგამანადგურებელი.

### გო მო-ჟოს დეპეშა ჟოლიო-კიურისადმი

პეკინი, 11 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს 10 მარტის ცნობაში ნათქვამია:

დღეს ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის და მშვიდობის დაცვის ჩინეთის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ გო მო-ჟომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარეს ფრედერიკ ჟოლიო-კიურის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მოწოდებით მიმართავს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიიღოს გადამწყვეტი ზომები იმისათვის, რომ ამერიკელებმა შემდეგში ვეღარ გამოიყენონ ბაქტერიოლოგიური იარაღი.

„ამერიკის ჯარებმა, — ნათქვამია დეპეშაში, — რომლებიც განაგრძობენ მხეცურ ბაქტერიოლოგიურ ომს, ამჟამად ეს ომი კორეის ფრონტიდან გადაიტანეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ტერიტორიაზე". ჩინელი ხალხი, ნათქვამია შემდეგ დეპეშაში, იმედოვნებს, რომ საქვეყნოდ ნაკისრი ვალდებულებებისადმი ერთგული მშვიდობის მსოფლიო საბჭო მიიღებს ისეთ ეფექტიან ღონისძიებებს, რომ ბოლო მოუღოს ამას.

### ამერიკელ აგრესორთა საშინელ დანაშაულობათა აღკვეთისათვის

ბუდაპეშტი. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც პროტესტს გამოთქვამს ამერიკელ აგრესორთა მიერ კორეაში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ.

საზარელმა მოქმედებამ, რომელიც ამერიკელმა აგრესორებმა ჩაიდინეს, ნათქვამია განცხადებაში, თვითმფრინავებიდან კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ მოხალისეთა პოზიციებზე და ზურგში შავი ჭირისა და ხოლერის ბაცილების ჩაყრამ მსოფლიოს მთელი პატიოსანი ახალგაზრდობის გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. ბაქტერიოლოგიური იარაღის, როგორც მოსახლეობის მასობრივი ჟლეტის საშუალების, გამოყენება კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ამ დანაშაულის ორგანიზატორები ცდილობენ გააფართოონ და გაამწვავონ კონფლიქტი, რომ ამავე დროის საბოტაჟს უწევენ მოლაპარაკებას ზავის მოწესრიგების შესახებ.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია მტკიცე პროტესტს უცხადებს ამ საზიზღარ მოქმედებათა [illegible] ამერიკის მთავრობას და მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომლის ალამსაც კორეაში ჩადენილ დანაშაულთა დასაფარავად იყენებენ, დაუყოვნებლივ მიიღოს სათანადო ღონისძიებანი. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია მოუწოდებს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას გაერთიანდეს კორეაში ომის შეწყვეტისათვის, მშვიდობის პაქტის დადებისათვის საბრძოლველად, რაც კაცობრიობის მშვიდობიანი ცხოვრების გარანტია იქნება და პროგრესისა და ბედნიერების სამსახურში ჩააყენებს მეცნიერებას.

სოფია. ბულგარეთის მშრომელები, საზოგადოებრიობა და პრესა კვლავ სასტიკ პროტესტს გამოთქვამენ კორეაში ამერიკელ აგრესორთა საზარელი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი" წერს: ყველა ქვეყნის ხალხები თავიანთ სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამენ ამერიკელი იმპერიალისტების მიერ კორეელი ხალხის წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების გამო. რა სიყალბესაც უნდა მიმართავდნენ მტარვალები თავიანთი საზიზღარი მოქმედების გასამართლებლად, ისინი ვერასოდეს ვერ ჩამოირეცხენ თავიანთ სახეზე სამარცხვინო ლაქას.

ბულგარეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსათვის გაგზავნილ დეპეშაში ნათქვამია:

მთელი ბულგარეთის მუშათა და მოსამსახურეთა სახელით ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმის გამო, რომ ამერიკელი ოკუპანტები საზიზღარ დანაშაულსა და მხეცობას სჩადიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირი კორეელი ხალხის მიმართ. ჩვენ მოვითხოვთ ჩაერიოთ საქმეში, რათა აიკრძალოს ბაქტერიოლოგიური იარაღი, შეწყდეს სისხლისმღვრელი ომი კორეაში და სამართალში მიცემულ იქნან კორეელი ბავშვების, ქალებისა და მოხუცების მკვლელნი. (საკდესი).

## უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

### გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 11 მარტი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტომ დღეს გამოაქვეყნა ტექსტი საბჭოთა მთავრობის ნოტისა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის პროექტი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიოსადგურებმა უკვე რამდენჯერმე გადასცეს ტექსტი საბჭოთა მთავრობის ნოტისა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი.

ბერლინი, 11 მარტი. (საკდესი). როგორც ლაიპციგის რადიო იუწყება, გერმანიის ყველა ნაწილში აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბევრ საწარმოში მოეწყო საბჭოთა ნოტის კოლექტიური მოსმენა და გაიმართა მიტინგები.

საქსონია-ანჰალტის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტი აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობის მოთხოვნა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადების შესახებ დამაჯერებლად ადასტურებს ნდობას გერმანელი ხალხისადმი, რომელსაც ახლა, ომის დამთავრებიდან 7 წლის შემდეგ, სულით და გულით სურს მშვიდობიანი დამოკიდებულება ჰქონდეს ყველა ხალხთან.

ბერლინი, 11 მარტი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის ნოტამ სამი დიდი სახელმწიფოსადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტმა, რომელიც დართული აქვს ამ ნოტას, უაღრესად ფართო გამოხმაურება ჰპოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბერლინის მოსახლეობაში.

ბერლინის ქუჩებში და მოედნებზე, სადაც დადგმული იყო რეპროდუქტორები, დიდძალი ხალხი იკრიბებოდა და ისმენდა ცნობას იმ ნოტის შესახებ, რომელიც საბჭოთა მთავრობამ გაუგზავნა დასავლეთის სახელმწიფოებს საზავო ხელშეკრულების თაობაზე. ამ ცნობას მთელი დღის განმავლობაში გადასცემდა რადიო. გაზეთებმა „ნოიეს დოიჩლანდმა", „ნაციონალ-ცაიტუნგმა", „ნოიე ცაიტმა" და სხვ. დღეს გამოუშვეს სპეციალური ნომრები, რომლებშიც დაბეჭდილია საბჭოთა მთავრობის ნოტის სრული ტექსტი. გაზეთების ყველა ეს სპეციალური გამოშვება ერთბაშად გაიყიდა ბერლინში.

ადნ-ის სააგენტო დღეს იუწყება, რომ ცნობა საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობაში.

„დასავლეთის სამი სახელმწიფოსათვის გაგზავნილმა ნოტამ და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების საბჭოთა პროექტმა, — ნათქვამია ადნ-ის სააგენტოს ამ ცნობაში,—ყველგან ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ს წარმოებისა და საცხოვრებელ უბნებში მოსახლეობა გაცხოველებით განიხილავს ნოტას".

ადნ-ის სააგენტოს ცნობები, რაც აქამდე მიღებულია ერფურტიდან, ხემნიციდან, ჰერლიტ- [illegible] და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბევრი სხვა ქალაქიდან, მოწმობენ, რომ მთელი მოსახლეობა მხურვალედ და სიხარულით მიესალმება საბჭოთა კავშირის ახალ გამოსვლას გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად.

„ცნობამ დასავლეთის სახელმწიფოებისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების პროექტმა ისეთი გამოხმაურება ჰპოვა ნიურნბერგში, როგორიც არც ერთ პოლიტიკურ მოვლენას არა ჰქონია ომის დამთავრების დროიდან",—ნათქვამია ადნ-ის სააგენტოს ცნობაში ნიურნბერგიდან.

ადნ-ის სააგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ ნიურნბერგის მცხოვრებლები აღფრთოვანებით მიესალმნენ საბჭოთა კავშირის წინადადებებს.

### უნგრეთი

ბუდაპეშტი, 11 მარტი. (საკდესი). უნგრეთში დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა მთავრობის ნოტამ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. გაზეთი „ვილაგოშაგი" ამ ნოტას ათავსებს სათაურით „დაე დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესამუშავებლად".

ბუდაპეშტის რადიომ გადასცა საბჭოთა ნოტის ტექსტი.

### ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 11 მარტი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის რადიომ სრულად გადასცა საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ და საბჭოთა მთავრობის პროექტი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ, რაც დართული აქვს ნოტას.

ეს დოკუმენტები ჩეხოსლოვაკიის ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობს.

### პოლონეთი

ვარშავა, 11 მარტი. (საკდესი). პოლონეთის რადიომ სრულად გადასცა საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ და საბჭოთა მთავრობის პროექტი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

### რუმინეთი

ბუქარესტი, 11 მარტი. (საკდესი). დღეს ბუქარესტის რადიომ სრულად გადასცა საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ და საბჭოთა მთავრობის პროექტი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

ამ ისტორიული დოკუმენტების რადიოთი გადაცემას ისმენდა ასეულ ათასობით რუმინელი მშრომელი, რომლებიც უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის ახალ ფასდაუდებელ ინიციატივას, რომლის მიზანია ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება. რუმინეთის ბევრ მუშათა და სასოფლო კლუბში მოეწყო ბუქარესტის რადიოსადგურის გადაცემის კოლექტიური მოსმენა.

რუმინეთის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ტექსტები საბჭოთა ნოტისა და საბჭოთა მთავრობის პროექტისა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

### ბულგარეთი

სოფია, 11 მარტი. (საკდესი). ბულგარეთში დიდი ინტერესით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის ნოტას დასავლეთის სახელმწიფოებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ და საბჭოთა მთავრობის პროექტს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

დღეს ბულგარეთის დეპეშათა სააგენტომ და გაზეთმა „ვეჩერნი ნოვინიმ" გამოაქვეყნეს საბჭოთა ნოტა.

### საფრანგეთი

პარიზი, 11 მარტი. (საკდესი). პარიზის საღამოს პრესა მთავარ ყურადღებას უთმობს საბჭოთა ნოტას, რომელიც მოსკოვში გადაეცა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს.

მსხვილი სათაურით „სსრ კავშირი მოითხოვს ოთხთა კონფერენციის მოწვევას გერმანიის საკითხზე, რათა განხილულ იქნას საზავო ხელშეკრულების პროექტი" გაზეთი „სე სუარი" აქვეყნებს საბჭოთა ნოტის წინადადებების ტექსტს. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ნოტის მიზანია გერმანიის პრობლემის მოწესრიგება და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების დაჩქარება.

სხვა გაზეთები საბჭოთა ნოტის ტექსტს ბეჭდავენ მთლიანად ან მის შინაარსს და უძღვნიან მას სარედაქციო სტატიებს ან თავიანთ მიმომხილველთა კომენტარებს.

გაზეთი „მონდი" წერს, რომ „როგორც ჩანს, საბჭოთა წინადადების ყოველი მუხლი გულდასმით უნდა იქნას განხილული".

გაზეთი „ფრანს-სუარი" აღნიშნავს, რომ საბჭოთა ნოტის ტექსტს „გულდასმით შეისწავლიან ლონდონში, პარიზსა და ვაშინგტონში".

ამავე დროს გაზეთს საეჭვოდ მიაჩნია, რომ დასავლეთის სახელმწიფოების პასუხი ნოტაზე „სავსებით კეთილსასურველი" იქნეს.

### ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 11 მარტი. (საკდესი). დილის გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს იმ ნოტის შესახებ, რომელიც საბჭოთა მთავრობამ გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

### ინგლისი

ლონდონი, 11 მარტი. (საკდესი). ინგლისურ გაზეთებს ჯერჯერობით მოჰყავთ სააგენტოების მხოლოდ მოკლე ცნობები, რომლებიც ემყარება მოსკოვის რადიოს მიერ გადაცემულ ტექსტს საბჭოთა მთავრობის ნოტისას ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ და საბჭოთა მთავრობის პროექტს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

„ტაიმსი" ამ ცნობას მეტ ადგილს უთმობს, ვიდრე სხვა გაზეთები. იგი ათავსებს ნოტის ტექსტს, რომელიც რეიტერის სააგენტომ გამოაქვეყნა, მაგრამ არ მოჰყავს ტექსტი საბჭოთა მთავრობის პროექტისა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. ცნობის სათაურში ნათქვამია: „ახალი საბჭოთა ნოტა გერმანიის შესახებ. წინადადებანი საზავო ხელშეკრულების თაობაზე".

„დეილი მეილი", „დეილი ჰერალდი", „ნიუს ქრონიკლი", „დეილი ექსპრესი" და „იორკშირ პოსტი" პირველ გვერდზე ათავსებენ ფრიად მოკლე ცნობებს იმის შესახებ, რომ, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს 10 მარტს საღამოს გადაეცათ საბჭოთა მთავრობის ნოტები, „რომლებიც მოითხოვენ განახლდეს საზავო მოლაპარაკება გერმანიასთან".

## საჭადრაკო ტურნირი ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 11 მარტი. (საკდესი). დღეს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშებულ იქნა დაუმთავრებელი პარტიები.

სმისლოვმა (სსრ კავშირი) მოუგო ბენკოს (უნგრეთი), კერესმა—სლივას (პოლონეთი), სილიმ (უნგრეთი)—კოტნაუერს (ჩეხოსლოვაკია), ტროიანესკუმ (რუმინეთი)—საბოს (უნგრეთი), გოლომბეკ (ინგლისი)—ბარცას (უნგრეთი) პარტია ყაიმით დამთავრდა.

საბო (უნგრეთი) — ბოტვინიკის (სსრ კავშირი) პარტიაც ყაიმით დამთავრდა.

ხუთი ტურის შემდეგ გელერმა (სსრ კავშირი) მოაგროვა 4,5 ქულა, კერესმა (სსრ კავშირი) — 4 ქულა, შტალბერგმა (შვეცია)—3,5 ქულა, სამ-სამი ქულა აქვთ ბოტვინიკს (სსრ კავშირი), გერებენს (უნგრეთი), ო' კელის (ბელგია), პეტროსიანს (სსრ კავშირი), პილნიკს (არგენტინა) და სილის (უნგრეთი).

## საქართველოს პირველობა ჭადრაკში

11 მარტს მოეწყო წინა ტურებში დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. გ. გაჩეჩილაძემ თამაშის განუახლებლად დათმო პარტია მ. შიშოვთან, ხოლო რ. კაკიაშვილმა ვ. ქარსელაძესთან.

ა. ფირცხალავამ ა. ბლაგიძესთან ოსტატურად გამოიყენა ადრე მოპოვებული პოზიციური უპირატესობა და 50-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია. მცირე წინააღმდეგობის შემდეგ ო. ელიოზიშვილი დანებდა ა. ფირცხალავას.

რ. კაკიაშვილს ოთხი გადადებული პარტია ჰქონდა. ბ. გურგენიძესთან ენერგიული თამაშით მან შექმნა გარდუვალი შამათის მუქარა და აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო, ხოლო გოირგაძესთან ზუსტი თამაშით ყაიმს მიაღწია. ა. ბლაგიძესთან და ო. ელიოზიშვილთან თამაშში რ. კაკიაშვილმა ვერ გამოიყენა ყაიმის რეალური შანსები და დამარცხდა.

დ. ჩირაძემ ბ. გურგენიძესთან კარგი თამაშით ყაიმით დაამთავრა შეხვედრა, მაგრამ ნ. სოროკინთან სუსტად ითამაშა ენდშპილი და 71-ე სვლაზე პარტია წააგო.

შეუპოვარი წინააღმდეგობის შემდეგ ო. წოწოლაშვილი დამარცხდა მ. შიშოვთან, თ. გოირგაძე — გ. გამრეკელთან და გ. გაჩეჩილაძე — ა. ბუსლაევთან.

მეთერთმეტე ტურიდან ვ. ქარსელაძე—ჰ. არნშტეინის გამოტოვებულ პარტიაში რთული პოზიციური ბრძოლა გაჩაღდა და მრავალი ფიგურის გაცვლის შემდეგ პარტია გადაიდო. ვ. ქარსელაძეს ფიგურათა უკეთესი განლაგება აქვს.

ცამეტი ტურის შემდეგ ტურნირის ლიდერები არიან: მ. შიშოვი—10 ქულა, ა. ებრალიძე—8 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ა. ფირცხალავა—7½ ქულა ცხრიდან და სამი გამოტოვებული პარტია.

## მოხსენება

⊙ 14 მარტს საღამოს 8 საათზე საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წევრთა საჯარო სხდომაზე დოცენტი გ. ზარდალიშვილი წაიკითხავს მოხსენებას აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ. მოხსენების შემდეგ ნაჩვენები იქნება ფერადი ფილმი „საბჭოთა აზერბაიჯანი". სხდომა შედგება საზოგადოების ბინაზე (ცეცხოველის ქ. № 11).

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე — მეტი ლითონი სამშობლოს.

დღეს რუსთავში.

საერთო სათაურით „ჩვენი საბჭოთა ბიუჯეტი" წერილები: მივცემთ მეტ ფოლადსა და ნაგლინს. ვადამდე შევასრულებთ კომუნიზმის დიადი მშენებლობების დაკვეთებს. მშვიდობისათვის. თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. საჭადრაკო ტურნირი ბუდაპეშტში.

მეორე გვერდი—„პრავდის" 12-III მოწინავე — გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისათვის.

ფ. კონსტანტინოვი — მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საპროგრამო ნაწარმოები. (ვ. ი. ლენინის შრომის „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ" 30 წლისთავის გამო).

მესამე გვერდი—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები—დეპუტატ ვ. გ. ცხოვრებაშვილის სიტყვა ეროვნებათა საბჭოში.

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

მეოთხე გვერდი—უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა. საქართველოს პირველობა ჭადრაკში.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის მაუწყებლობის პროგრამა

(რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

14 მარტს

6.25—ვალსები. 7.30—გლინკას უვერტიურები. 10.30—ი. ჭავჭავაძის პატრიოტული ლექსები. 11.10—საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტების ზ. კირვალიძის და ს. მარცხულავას კონცერტი. 17.15—რუსული ხალხური სიმღერები. 17.40—გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15—კონცერტი საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან. 19.15—გლაზუნოვის სიმფონიური ნაწარმოებები. 19.45—გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 20.30—ქალაქის ქსელით — ს. მირიანაშვილის სიმღერები, რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. 20.45—ჰენდელის სონატა ალტისა და ფორტეპიანოსათვის. 21.00—ლექცია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად: კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ-ლენინური თეორია. 21.30—ნაწყვეტი პ. ილუმინიცკის რომანიდან: „ქრონიკა". 21.50—ფაიზის ოპერეტა: „წუღები"-ს მონტაჟი. 00.05—ქართული ხალხური სიმღერები.

## დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—თეთრი გული (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით, მე-6 აბ.); რუსთაველის სახელობის — პირველი ნაბიჯი; მარჯანიშვილის სახელობის — მეთორმეტე ღამე; გრიბოედოვის სახელობის — ძია ვანო (40-41 აბ.); სომხური დრამის — გაყიდული სახლი; მუსკომედიის — ცანის დედოფალი (მე-2 აბ.); მოზარდ მაყურებელთა ქართული — ქორწინება (52-ე აბ. 8 ს.); მოზარდ მაყურებელთა რუსული — ყაჩაღები (7½ ს.); ხანკულტურის — ერთი ოჯახის ისტორია; თოჯინების ქართული — ნანა ტყეში (11 ს.); ცირკი — დიდი საცირკო წარმოდგენა.

მოქალაქე პარმენ ივანეს-ძე ეხებუამ, მცხოვრებმა რიონჰესის ქ. № 29, აღძრა საქმე ხრესილის ქ. № 4 მცხოვრებ მოქალაქე ტასო იავორის ასულ ძიძიკაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მშობლები ზინა, პიმენ, მეუღლე ლევან, შვილები დალი, ლალი, დები ლიდა, თამარ, მარო, რძალი ნინო, დედამთილი მარიამ, მულები თამარ, რაისა, მაზლები ბარნაბ, ალექსანდრე ოჯახებით იუწყებიან რაისა გველესიანი-ბერაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-III, ხარაგოულში.

მეუღლე კონსტანტინე, შვილები მარიამ, ნიკოლოზ, რძალი კლარა ფანცხავები, სიძე ნ. ზალამბერიძე, შვილიშვილები ზურაბ, ნუნუ, მინერი, ჯულიეტა, როლანდ იუწყებიან მატრონა პავლეს ასულ ფანცხავას გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-III, 5 ს. ქუთაისში, გამოსვენება წულუკიძის IX შესახ. 12.

მეუღლე ანა, შვილები შალვა, მარო, ელენე, რძალი მარო, სიძეები ფ. ქურხია, მ. გოგუა, ზ. ნემსაძე და შვილიშვილები იუწყებიან ფილიმონ მინას-ძე დახუნდარიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-III, 5 ს. ქუთაისში, გამოსვენება წერეთლის მე-2 შესახ. 3.

შვილები ყორა მონიავა, ლუბა ბართაია, თამარ ავალიანი, რძალი თამარ, სიძე ვ. ავალიანი, დები ლიდა, პელო და შვილიშვილები იუწყებიან ოლია ოქროპირის ასულ ბახტაძე-მონიავას გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-III, 8 ს. გამოსვენება 16-III, 3 ს. ლიბკნეხტის, 14.

შვილი სერგო, რძალი მარო, შვილიშვილები ლეილა, ვაჟა, თემურ იუწყებიან აკვილინა კვატაშიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-III ქუთაისში, გამოსვენება ვაჟა-ფშაველას, 24.

კარლო ხარიტონის-ძე შველიძე ოჯახით იუწყება დისწულის ლარისა იაკობის ასულ ბლუაშვილი-მაჩაბლის გარდაცვალებას.

და ლილი, სიძე სიო, დისწულები მანია, ვალიკო, რძალი ვენერა შვილით ლიანათი გოგიჩაიშვილები, სიძე ს. მანჯავიძე შვილებით გურამით და ნანულით იუწყებიან მიშა ყირიმეს-ძე ჭედიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-III, ფოთში, გამოსვენება კიროვის, 18.

ნინო, მარგალიტა, ბაბულია, ნაზი, გაბიკო, ვლადიმერ გელაშვილები, ვარლამ ხაჯალია, თამარ, დოდო და ალექსანდრე შვარდნაძეები იუწყებიან დედის მელანია გიორგის ასულ კაკაბაძის გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენათა და ლიტერატურის ფაკულტეტის IV კურსის გერმანული სექციის ლექტორები და სტუდენტები იუწყებიან ციალა შალვას ასულ გაჩეჩილაძის გარდაცვალებას.

დედა ბარბარე, მეუღლე მარო, შვილები ელისაბედ, ნელი, კუკური, დები მარგო, მარო სულიკაშვილები, მამიდა ვარო, დისწულები თამარ, სიმონ, მერი იუწყებიან ილო ნიკოლოზის-ძე სულიკაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-III, 3 ს. ანაგაში (სიღნაღის რაიონი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსა და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00156